ვერსია

№45 (1686) 29 ნოემბერი — 5 დეკემბერი ოთხშაბათი 2023 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

როგორ დაგეგმა დამ ძმის მკვლელობა

ვინ არის უკრაინელი ქალი, რომელიც საქმეში ფიგურირებს

ზვიად კუპრავა: „ჭკუას მოუხმოს ენმ-ის თავმჯდომარემ!“

დიდი გადატრიალება ნაციონალურ მოძრაობაში

აუდიტის რომელ ანგარიშებს სწავლობს გენერალური პროკურატურა

აჭარაში განხორციელებული აუდიტის ანგარიშები პროკურატურაშია

რას ნიშნავს „შუა უნდა შეიკრიბოს“

არჩილ გამზარდია: „პატარა პარტიების გაერთიანების პერსპექტივა, პრაქტიკულად, არ არსებობს“

შინაგან საქმეთა სამინისტრო ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიან მსოფლიო კამპანიას შეუერთდა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან და კოლეგა უწყებებთან ერთად, ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიან მსოფლიო კამპანიას შეუერთდა.

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიაში გამართულ ღონისძიებაზე მოწვეულ სტუმრებს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძემ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე თამილა ბარკალაიამ, ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში პრემიერ-მინისტრის მრჩეველმა ნიკო თათულაშვილმა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე თამარ მახარაშვილმა, საქართველოში გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენელმა კაორი იშიკავამ, მარნეულის მერმა კენან ომაროვმა და საკრებულოს თავმჯდომარემ, მარნეულის გენდერული საბჭოს თავმჯდომარე ამირან გიორგაძემ სიტყვით მიმართეს.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ალექსანდრე დარახველიძემ ყურადღება გაამახვილა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის პრიორიტეტულობასა და იმ მიდგომებზე, რასაც უწყება აღნიშნული კატეგორიის დანაშაულებთან ბრძოლის კუთხით ახორციელებს. შედეგად, ბოლო წლების მანძილზე, მნიშვნელოვნად გაზრდილია მიმართვიანობა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლების მხრიდან, რაც საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასა და პოლიციის მიმართ ნდობის გაზრდაზე მიუთითებს.

მინისტრის მოადგილემ, ასევე, ისაუბრა ძალადობის წინააღმდეგ ეფექტიანი რეაგირებისთვის კოორდინირებული მუშაობის მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე და მსხვერპლზე ორიენტირებული სამართალწარმოების განხორციელების ეფექტიანობაზე.

2023 წელს, ალექსანდრე დარახველიძემ, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, რისკის შეფასების ინსტრუმენტში განხორციელებულ ცვლილებასა და მის შედეგად, მოძალადეთა მიმართ ელექტრონული ზედამხედველობის გამოყენების მომატებულ მაჩვენებელზეც ისაუბრა. იქვე, ყურადღება გაამახვილა, რომ მოძალადეთა მიმართ ელექტრონული სამაჯურის გამოყენებისთვის მნიშვნელოვანია მსხვერპლთა თანხმობა და მათი მხრიდან პოლიციასთან ინფორმაციული თანამშრომლობა.

მიმდინარე წლის ნოემბერში, ევროკომისიამ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ რისკების შეფასების ინსტრუმენტის განახლება და ეფექტიანობის გაზრდა დადებითად შეაფასა.

ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიანი კამპანიის მიზანია, საზოგადოების ინფორმირება ძალადობის წინააღმდეგ სახელმწიფოში არსებულ მექანიზმებზე, მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, დროული მიმართვიანობის უზრუნველყოფა, ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერა და მათ მიმართ ძალადობის პრევენცია, აგრეთვე, ძალადობის წინააღმდეგ, სახელმწიფო სერვისებზე მათი ინფორმირება.

კამპანიის ფარგლებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დაგეგმილია არაერთი ღონისძიება, საერთაშორისო აქტორების მხარდაჭერითა და სახელმწიფო უწყებათა ჩართულობით, მათ შორის, მულტისექტორული შეხვედრა ქალთა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებებთან; სამუშაო შეხვედრა საპოლიციო დანაყოფების წარმომადგენლებთან; საინფორმაციო შეხვედრები თბილისსა და რეგიონებში სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან, მათ შორის, სოფლად მცხოვრებ ქალებთან; კვლავ გაიგზავნება მოკლე საინფორმაციო სატელეფონო ტექსტური შეტყობინებები, სადაც მოსახლეობას მოვუწოდებთ პოლიციისადმი მიმართვიანობაზე და მივაწვდით ინფორმაციას მიმართვის გზების შესახებ.

კამპანიის მხარდამჭერია გაეროს ქალთა ორგანიზაცია, აშშ-ის საელჩოს ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ სამსახურებთან თანამშრომლობის საერთაშორისო ბიურო და შვედეთი.

პოლიციამ არასრულწლოვნის მიმართ განხორციელებული სექსუალური ხასიათის დანაშაულის ბრალდებით ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის არასრულწლოვნების საქმეთა მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1970 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი, ბ.ი. წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანის მიმართ ჩადენილი სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 11-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული მამაკაცი, წინასწარი შეცნობით, არასრულწლოვან გოგონას აედევნა ქუჩაში და მის მიმართ სექსუალური ხასიათის ქმედება განახორციელა.

საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სამართალდამცველებმა ბრალდებული ცხელ კვალზე დააკავეს.

წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ განხორციელებული სექსუალური ხასიათის სხვაგვარ ქმედების ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

სპეცდანიშნულების რაზმის მებრძოლის, ივანე გოლაშვილის გმირულად დაღუპვიდან 6 წელი გავიდა

შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა გრიგოლ ლილუაშვილმა, 2017 წლის 21-22 ნოემბერს ჩატარებული კონტრტერორისტული სპეცოპერაციის დროს დაღუპული სპეცრაზმელის, ივანე გოლაშვილის ხსოვნას პატივი მიაგეს.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ივანე გოლაშვილის საფლავი გვირგვინით შეამკო და მისი ოჯახის წევრებს კიდევ ერთხელ მიუსამძიმრა.

ივანე გოლაშვილი, 2017 წელს, ბერი გაბრიელ საღოსის ქუჩაზე, ახმედ ჩატაევისა და მისი დაჯგუფების წინააღმდეგ ჩატარებული სპეცოპერაციის დროს დაიღუპა.

ზვიად კუპრავა: „ჭკუას მოუხმოს ენმ-ის თავმჯდომარემ!“

დიდი გადატრიალება ნაციონალურ მოძრაობაში

თათია გოჩაძე
598-43-50-34

ენმ-ის თავმჯდომარე ლევან ხაბეიშვილმა ტელეკომპანია „ფორმულას“ ეთერში განაცხადა, რომ ნიკა მელია პარტიის წევრი აღარაა. ხაბეიშვილის თქმით, მელიამ თავად გადაწყვიტა, რომ არ იყოს პარტიის წევრი. „ფორმულას“ ჟურნალისტებმა მას ჰკითხეს, ეს იმას ნიშნავს თუ არა, რომ ნიკა მელია პარტიიდან გარიცხა, რადგან თავად მელიას არ განუცხადებია ენმ-ის დატოვების შესახებ, რაზეც ხაბეიშვილმა უპასუხა, რომ „წერილი მისწერონ და პასუხს გაუგზავნიან“. ხაბეიშვილს მელიას შესახებ კითხვა ჟურნალისტმა ვახო სანაიამ ფურცელზე დაუწერა.
„ბატონო ლევან, ირიცხება თუ არა ნიკა მელია „ნაციონალურ მოძრაობის“ რიგებში? არის თუ არა ის ოფიციალურად და ფორმალურად პარტიის წევრი? მომიწერეთ ხელი ამაზე“.
ლევან ხაბეიშვილმა ჟურნალისტის მიერ ფურცელზე დაწერილ კითხვას წერილობითვე უპასუხა და იმავე ფურცელზე მიაწერა – „არ არის, არ წარმოადგენს“ და თან თავის ხელმოწერა დაურთო.
აღნიშნულ საკითხზე „ვერსია“ ენმ-ის წარმომადგენელ ზვიად კუპრავასთან ინტერვიუს გთავაზობთ:

– რაც შეეხება ხელმოწერას, ეს არ არის ფაქტობრივი მოცემულობა იმიტომ, რომ ყველაფერს აქვს თავისი წესი და ფორმა. ეს არ იყო ის წესი და ფორმა, რომელიც არის მიღებული და როგორც კანცელარიის გავლით უნდა ხდებოდეს. ეს იყო თოჯინების თეატრი და დადგმული უნიჭო სპექტაკლი, რომელმაც აჟიოტაჟი გამოიწვია, რადგან ის ფორმა, რომელიც პირდაპირ ეთერში მოხდა, ზოგადად, მიუღებელია, მათ შორის, ადამიანურადაც. სამართლიანად ეს ჩარჩოებში რომ არ ჯდება, ამასთან დაკავშირებით გამახსენდა, თუ ახსოვს მკითხველს, შალვა ნათელაშვილმა ადრე, როცა პარლამენტის წევრი იყო, მისწერა წერილი პარლამენტის თავმჯდომარეს და იყო ასეთი სათაური – პარლამენტის არალეგიტიმურ თავმჯდომარეს მივმართავ, რომ პარლამენტიდან დამითხოვონ. ამაზე პასუხი არ გასცა პარლამენტის თავმჯდომარემ და მერე შალვა ღადაობდა, ამაზე პასუხი რომ გაეცა და დაეკმაყოფილებინა ანუ გავეთავისუფლებინე პარლამენტიდან, თვითონ გამოდიოდა არალეგიტიმური თავმჯდომარეო.

დაახლოებით, მსგავსი შარჟი იყო. არ ვიცი, ეს რას ისახავდა მიზნად და ამომრჩევლებსა და მხარდამჭერებზე ასე რატომ ზემოქმედებენ. ეს ფორმალობა არ იყო, რადგან თუ მსგავსი დოკუმენტი იქმნება პარტიის თავმჯდომარის მხრიდან, ეს რომელიმე სტუდიაში და ე.წ. კვიპროსული კლუბის რომელიღაც დანაყოფში კი არ იქმნება, არამედ, მსგავსი წერილები შედის კანცელარიაში, რომელსაც ენიჭება შესაბამისი ნომერი, შემდეგ კანცელარია ამ წერილს გზავნის ადრესატთან ანუ პარტიის თავმჯდომარესთან. ეცნობა თავმჯდომარე მის შინაარსს და პასუხობს ამა თუ იმ პასუხით. შესაბამისად, აქ ფორმალობა დაცული არ იყო და ლეგიტიმური ძალა ვერ ექნება, თუმცა დასანანია ის ფორმები, რომლითაც ეს გაკეთდა.

კიდევ ერთხელ ვახსენებ, ეს იყო თოჯინების თეატრი. „იუმორინა“ გამახსენდა, ბოლოს პროექტის ავტორსა და სულის ჩამდგმელს, ჯემალ ბაღაშვილს რომ აცხადებენ, დაახლოებით, ეგ სცენარი იყო. ჩვენ ვიცით ამ შემთხვევაში „ჯემალ ბაღაშვილი“ ვინ არის და ვისი დაკვეთა იყო თოჯინების თეატრის ეს სპექტაკლი. ძალიან ვწუხვარ, რომ ქართველი ჟურნალისტები გახდნენ მსხვერპლნი ამ სპექტაკლის, მაგრამ მათაც უნდა იცოდნენ, რომ მსგავსი ტიპის სპექტაკლებში არ უნდა შევიდნენ. მათ უნდა აკეთონ საკუთარი საქმე და არ უნდა იყვნენ დაკავებულნი კონკრეტული პიროვნებებისა და თუნდაც მათი ხელმძღვანელების სურვილების ამსრულებლებად. არ ვერევი ჟურნალისტურ საქმიანობაში, მაგრამ უმძიმესი სანახავია ფოტოები, რომლებიც ვრცელდება – ქალბატონი ჟიჟილაშვილი, რომელსაც მელიას გაგდების ფურცელი უჭირავს ხელში. მას სახეზეც ეტყობა დამოკიდებულება და ზოგადად, რა აღქმაც დარჩა საზოგადოებას, იკითხება ქალბატონი ჟიჟილაშვილის სახეზე. უკიდურესად მძიმე სანახავია ყველაფერი ეს.

რაც შეეხება პარტიის თავმჯდომარეს, სჯობს, მიხედოს პარტიას, ბრძოლას ივანიშვილის წინააღმდეგ. კი არ უნდა რიცხავდეს, უნდა იერთებდეს ადამიანებს და ემზადებოდეს გადამწყვეტი ბრძოლისთვის, როცა აბსოლუტურად საპირისპიროს ვხედავთ. იმედი მაქვს, ეს ძალიან მალე შეიცვლება, ამაში დარწმუნებული ვარ, რადგან მსგავსი ფორმითა და მენეჯმენტით არჩევნებში შესვლა, უბრალოდ, წარმოუდგენელია და ვერ მოხერხდება ასე და ამ ფორმით.

> **„ფორმულაზე“ რაც მოხდა, სინამდვილეში ხაბეს „პოლიტიკური მკვლელობა“ იყო. იმ მაგიდაზე (რულეტკაზე) სადაც ოთხი თუ ხუთი კაცი იჯდა, ერთმა მას „იარაღი“ მიაწოდა. ამან ეს იარაღი აიღო და „საკუთარ თავს ესროლა“. მეორემ კი ამის დემონსტრირება მოახდინა და „დაჭრილი ხაბეიშვილი“ საზოგადოებას აჩვენა. სინამდვილეში ეს თოჯინების თეატრი კი არა, ხაბეიშვილის „პოლიტიკური მკვლელობის“ რიტუალი იყო. ხაბე როგორც თავმჯდომარე, დამთავრებულია.**

– თოჯინების თეატრი, „კვიპროსული კლუბი“ ახსენეთ და თქვით, რომ იცით, ყველაფერ ამის უკან ვინც დგას... კონკრეტულად და ღიად რატომ არ ამბობთ სათქმელს?

– როგორ არ ვსაუბრობ, „კვიპროსულ კლუბში“ კვიპროსის ადმინისტრაციას კი არა, იქ მყოფ ადამიანებსა და მათ კლუბს ვგულისხმობ...

– კეზერაშვილს გულისხმობთ?

– ცხადია, რა თქმა უნდა, აბა, რა... უშუალოდ მისი სცენარი იკითხებოდა.

– თუ ასე ფიქრობთ, თქვენი აზრით, რა მიზანი უნდა ჰქონდეს?

– მარტივია ამის ახსნა – მელიასი ეშინიათ, რადგან

დასასრული მე-4 გვერდზე

ზვიად კუპრავა: „ჭკუას მოუხმოს ენმ-ის თავმჯდომარემ!“

მე-3 გვერდიდან

ის არის პოლიტიკური ფიგურა და პარტიაში მყოფი მელია არის საფრთხე. სად – მელია და სად – ხაბეიშვილი, როგორ შეიძლება ამ ორი პოლიტიკური ფიგურის შედარება ერთმანეთთან? ამხელა განსხვავებაა პარტიაში და სანამ ეს ფაქტორი იარსებებს, ეს შიშები იქნება.

– თქვენი აზრით, რისი ეშინიათ, რას იზამს მელია?

– მელიას რეიტინგი, ავტორიტეტი აქვს. გუშინ კი არ მომხდარა მელიას გარიცხვა პარტიიდან, დიდი ხანია, მელია და მისი მხარდამჭერები იგნორირებულნი არიან პარტიის მხრიდან, თითქმის ერთი წელია... მიუხედავად ამისა, მელიას მხარდამჭერთა რაოდენობა, მის მიმართ სოლიდარობა არ კლებულობს იმიტომ, რომ ეს კაცი არის მართალი ამ ხალხთან მიმართებით. ხაზს ვუსვამ – კეზერაშვილთან, ხაბეიშვილთან და სხვებთან მიმართებით, ნიკა მელია მართალია. ეს ბიჭი მართალია და შესაბამისად, ხალხი და მე, პირადად, მელიას კი არ ვუდგავართ გვერდით, არამედ, სიმართლეს. მე პირადად ვუდგავარ სიმართლეს გვერდით და მართალი კაცის დაჩაგვრა ეგრე არ გამოვა. ეგრე ვერ იქნება, ყირაზე დადგება აბსოლუტურად ყველაფერი. ამიტომ, დროზე უნდა მოეგონ გონს და ხაბეიშვილმა თავისი ძალისხმევა მიმართოს ხალხის შემოერთებისკენ.

მელია ამ ბრძოლაში არ არის მარტო. ვგულისხმობ, თუნდაც ივანიშვილთან ბრძოლას, თუნდაც შიდა პარტიულ დისკუსიას, მელიას უამრავი ადამიანი უდგას გვერდში, მის სიმართლეს უდგას გვერდით. ასე ვარ მე, მაგალითად და ასეა სხვაც. როდესაც მართალ ადამიანს ექცევი ასე, გარეშე პირს, რომელიც ამას გვერდიდან უყურებს, რა განცდა უნდა დაეუფლოს და როგორ შეიძლება, სურვილი გაუჩნდეს მსგავსი ტიპის გადაწყვეტილებისა...

– ამბობთ, ყველაფერი ყირაზე დადგება და არ გამოვა მართალი კაცის დაჩაგვრაო – კონკრეტულად, რის გაკეთებას აპირებთ, თუ მელიას მართლაც გარიცხავენ პარტიიდან?

– ვერ გარიცხავენ, ვერ მოხდება ეგ ამბავი! ფიზიკურად წარმოუდგენელია, კომპარტიის შემდეგ, პარტიიდან არავის არავინ გაურიცხავს. მანახეთ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პარტია, რომელმაც თავისი რიგებიდან გარიცხა ადამიანები. წარმოუდგენელია ეგეთი რამ. ნაციონალური მოძრაობის იდეოლოგია ხაბეიშვილი კი არ არის, ჩვენს იდეოლოგიას არ უნდა ვუღალატოთ. ჩვენი სიძლიერე იყო ის იდეოლოგია, რომელსაც ვატარებდით და არა – ინფრასტრუქტურა, ოფისები, შენობები, ტელევიზიები და ა.შ. არა, ეს ბერკეტია, იდეოლოგია არის ის, რასაც ეფუძნებოდა... „ვარდების რევოლუციის“ 20 წლისთავი იყო ცოტა ხნის წინ და „ვარდების რევოლუციაა“ ჩვენი იდეოლოგია და მის მიერ მოტანილი სიკეთეები, დემოკრატია და არა – „ქოცური“ დამოკიდებულება ადამიანების მიმართ. ჩვენ იდეოლოგია არ უნდა დავკარგოთ, თორემ თუ ეს დავკარგეთ, ოფისები რამდენიც უნდა, იმდენი გახსნან. კაცი თუ არ მოვიდა და ხმა თუ არ მოგვცა... ჩვენ ხმას გვაძლევენ იმ იდეოლოგიის გამო, რომელსაც ვატარებდით ამ პერიოდის განმავლობაში.

– მიიჩნევთ, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მიხეილ სააკაშვილის პოზიციას მელიას გარიცხვის თაობაზე? მას ჯერ მკაფიო პოზიცია არ დაუფიქსირებია ამ საკითხზე...

– ის მუდმივად მკაფიოდ ასახელებს თავის პოზიციას და ამბობს, რომ არავის გაგდება და გარიცხვა პარტიიდან არ შეიძლება. ამას ამბობს წერილებში, რომელიც საჯაროდ ქვეყნდება და ამავდროულად, სოფო ჯაფარიძემ, რომელიც მიხეილ სააკაშვილის პირადი წარმომადგენელია, მკაფიოდ თქვა, რომ არავის გარიცხვა არ მოხდება და არც იქნება მსგავსი რამ. აქედან გამომდინარე, ვიცით მიხეილ სააკაშვილის პოზიცია და მიუხედავად ამისა, მაინც ხდება ეს ანუ კითხვა ხომ ჩნდება, ვინ არის ამ პროცესების უკან? – მარტივია პასუხი, „კვიპროსის კლუბი“ არის ამ ყველაფრის უკან და ძალიან ვწუხვარ, რომ ჟურნალისტები, რომლებიც პატივცემული ადამიანები არიან, ასეთ დღეში იგდებენ თავს და ქალბატონი ჟიჟილაშვილი, ალბათ, თავის კარიერას შემორჩება იმ ფოტოთი, რომელიც ვირუსულად ვრცელდება ფეისბუქზე.

– თქვენი, მელიას მხარდამჭერების, გეგმები როგორია?

– მე ნიკა მელიას ვუჭერდი მხარს წინასაარჩევნო პერიოდში და მას შემდეგაც, თუმცა როცა იყო საუბარი ნიკა მელიას პარტიიდან წასვლაზე, მქონდა ჩემი პოზიცია და წარმატებას ვუსურვებდი ყველას, თუმცა რაც დღეს პარტიაში ხდება, ყოვლად წარმოუდგენელია. ეს აჩენს განცდას აბსოლუტური სოლიდარობის ნიკა მელიას მიმართ. ის წერილი, რომელიც ეთერში დაიწერა მხოლოდ მელიას კი არა, მე მეხება, ჩემს მეგობრებს, თანამებრძოლებს და 50 000 ადამიანს, რომელმაც ხელი მოაწერა მელიას მემორანდუმზე. მე არ ვარ მაგ მემორანდუმის ხელმომწერი, რადგან ველოდებოდი სხვა მემორანდუმებს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სიმართლეზე ვინმე თვალს დახუჭავს და არ ილაპარაკებს. მელიას ვუჭერ მხარს იმიტომ, რომ ის არის მართალი ამ ადამიანებთან.

– თქვენი გეგმები დაუკავშირდება იმას, რასაც იზამს მელია?

– არა. მე ჩემი დღის წესრიგი და პოლიტიკური ცხოვრება მაქვს და არ ვაპირებ მკვეთრი ნაბიჯების გადადგმას, მაგრამ ამავე დროს არ ვაპირებ შეგუებას ამ ვაკხანალიაზე, რაც პარტიაშია.

რაც ტელევიზიით ვნახე, კრიტიკის გარდა, არაფრის თქმის საფუძველს არ იძლევა. ბოლო პერიოდში თავს ვიკავებდი და ვცდილობდი, ამ თემებში არ გავრეულიყავი, მაგრამ რაც ხდება ბოლო პერიოდში, ეს არის ზღვარგადასული ქმედება და სჯობს, ჭკუას მიუხმოს პარტიის თავმჯდომარემ და საქმე აკეთოს ისე, როგორც უნდა აკეთოს და როგორც იქნება სწორი და არა ისე, როგორც უბრძანებენ, ან კონსულტაციების მეშვეობით გადიან მასთან ყოველდღიურ რეჟიმში – რა და როგორ გააკეთონ მელიასთან მიმართებით. მელია პარტიაში იქნება თუ არა, ის არის ერთ-ერთი საუკეთესო მებრძოლი ოპოზიციაში და ყველას მივმართავ, თავი შეიკავონ მსგავსი მკვეთრი ნაბიჯებისგან, თორემ ანალოგიური პასუხი მოჰყვება. ეს არ დაასხამს ჩვენს წისქვილზე წყალს, ცხადია, მაგრამ ვიღაცას ცხვირში მოხვდება ძალიან მწარედ.

რას ნიშნავს „შუა უნდა შეიკრიბოს“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

ლელოს ლიდერმა მამუკა ხაზარაძემ, ცოტა ხნის წინ, სოციალურ ქსელში დაწერა: „შუა უნდა შეიკრიბოს“... ეს პოლიტიკურ ენაზე ე.წ. შუაშისტური პარტიების გაერთიანებას გულისხმობს. რამდენად აქვს პერსპექტივა ხაზარაძის ინიციატივას – „ვერსია“ ანალიტიკოს არჩილ გამზარდიას ესაუბრა:

არჩილ გამზარდია: „პატარა პარტიების გაერთიანების პერსპექტივა, პრაქტიკულად, არ არსებობს“

– „შუა უნდა შეიკრიბოს“ – ეს კონცეფცია გულისხმობს დომინანტი პარტიების ალტერნატიული პლატფორმის შექმნას. ეს დომინანტური პარტიები ნაციონალური მოძრაობა და „ქართული ოცნებაა“, ხოლო ალტერნატიული პლატფორმა ნიშნავს არადომინანტური პარტიების ერთიანი პლატფორმით გამოსვლას იმისთვის, რომ კონკურენტუნარიანობა გაზარდონ და ამომრჩევლისთვის გახდეს უფრო სასურველი, მისაღები. არის ასეთი მოსაზრება, რომელიც მაინცდამაინც კვლევებზე არ არის დაფუძნებული, უბრალოდ, მოსაზრებაა, რომ ადამიანები არ აძლევენ ხმას წაგებისთვის განწირულ პარტიას. ეს პოსტკომუნისტური მიდგომაა, მაგრამ რადგან არსებობს ეს თეზა, შესაბამისად, იგულისხმება, რომ საჭიროა უფრო მძლავრი პლატფორმის შექმნა, როდესაც ადამიანები არ ჩათვლიან საკუთარ ხმას გადაგდებულად და ამიტომაც მისცემენ ხმას.

ეს თეორიული ასპექტია „შუას შეკრების“... კი, კარგი სხარტულაა (ამას სხარტულა დავარქვი) და ეს მიმართულია იმისკენ, თავის დროზე ბიძინა ივანიშვილმა რომ თქვა, „შუა უნდა გაიკრიფოსო“, ერთგვარი „ხელთათმანის სროლაა“ ბიძინა ივანიშვილის მისამართით მამუკა ხაზარაძის მხრიდან, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ იდეაც შეიძლება თეორიულ დონეზე კარგია, სხარტულაც კარგია... განსხვავება ისაა, რომ ცოცხალი ადამიანები, რომლებიც არიან პარტიების წარმომადგენლები და ლიდერები მათემატიკური ცვლადებისგან განსხვავდებიან იმით, რომ შეიძლება ცვლადების დონეზე რაღაცები შეაჯამო და ფორმულა გამოიყვანო, მაგრამ ცოცხალი ადამიანების დონეზე, ყველაფერი ეს, ძალიან რთულია. მეტიც, ეს უნდა ყოფილიყო არა ანონსი, როგორც ზოგადად, პოლიტიკოსებს სჩვევიათ ხოლმე, არამედ, შედეგი. თუკი იქნებოდა ამის მცდელობა არაოფიციალური არხებით, პირველ რიგში, უნდა ეზრუნა ამ პარტიას და სხვა პარტიებსაც სურვილის შემთხვევაში, შეექმნათ ყველაფერი ეს და ეს ფრაზა უნდა ეთქვათ, როგორც შექმნილი რეალობა.

– ანუ, Facebook-სტატუსით არ უნდა გაეჟღერებინა ეს იდეა?

– არა, რა თქმა უნდა. ეს ისაა, ჩვენ რაც გვჭირს, „ფეისბუქზე“ ვიღაცის ნათქვამი მოგვეწონება ან ჩვენივე მოფიქრებული ფრაზა და ამის გაზიარების რეჟიმში ვართ, ხოლმე (იცინის). ამიტომ, მსგავს რამეს ნაკლები პერსპექტივა აქვს.

ამას გარდა, იდეურადაც გაუგებარია, მაგალითად, ლეიბორისტების და გირჩის ერთობა. გასაგებია, რომ ლეიბორისტები ყოველთვის ავტონომიურობას „აწვებიან“ და არ შედიან გაერთიანებებში, მაგრამ... ასევე გაუგებარია, ვთქვათ, ანა დოლიძისა და გირჩის ერთობა და ა.შ. მსგავს რამეს ჩვენთან პერსპექტივა არ აქვს და მე თუ მკითხავთ, კარგია, პერსპექტივა რომ არ აქვს, რადგან პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც ჩვენთან ძალიან გაზარმაცებულები არიან და ინტელექტუალურად, შემოქმედებითად ბევრად დასუსტებულები, მაინც აიძულებს, რომ თვითქმნადობაზე, თვითიდენტობაზე იმუშავონ. სხვა გამოსავალი არ არის, რადგან მაშინ უნდა დადგნენ და ერთი საერთო პარტია შექმნან, რასაც, რა თქმა უნდა, არავინ იზამს.

– არაერთხელ გამოჩნდა, რომ ლელოს აქვს ამბიცია, მსგავსი გაერთიანების პლატფორმა გახდეს, თუმცა აქამდე, არასდროს გამოსვლია. ამის მიუხედავად, ერთსა და იმავე წრეზე რატომ მიდიან პარტიები? ამას რით ხსნით?

– აქ ორი ასპექტია – ერთია აგრესიული მარკეტინგი, როცა რაღაცას აგრესიულად მიჰყვება და ცდილობს, მანამდე მიჰყვეს, სანამ შედეგამდე არ მივა. შეიძლება, რამდენადმე ეს მცდელობა იყოს, იმდენს მოიწადინებენ, რომ ათასი მარცხის მიუხედავად, შესაძლოა, ერთ მშვენიერ დღეს გამოუვიდეთ.

მეორე ასპექტია თვითაქტუალიზაციის შესაძლებლობა, რადგან ასეთი სხარტულები მედიას იზიდავს. ახლაც ვმსჯელობთ ყველაფერ ამაზე მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება, ამ წუთში ეს მსჯელობა სრულიად უსაფუძვლოა, რადგან ამის პირობა არ არსებობს, მაგრამ ეს იწვევს ისეთ აქტივაციას, რომელიც რატომღაც პოლიტიკურ ჯგუფებს უყვართ ხოლმე. რატომ უყვართ შედარებით აქტუალურ პოლიტიკურ ჯგუფებს და ვერ მოეშვნენ ამას, ეს ცოტა ძნელი გასარკვევია იმიტომ, რომ დამწყებ პარტიებს შეიძლება ჰქონდეთ ეს სურვილი, რომ რაღაც მოიფიქრონ და გამოჩნდნენ მედიაში, მაგრამ ამ პარტიებს არ აქვთ არც გასაჯაროების, არც მედიაზე წვდომის პრობლემა, მაგრამ ვერ გამოდიან იმ როლიდან, რომ მათი აქტივობები იყოს აქტუალური, მაგრამ შინაარსის მატარებელი რომ უნდა გახდეს, ამას ვერ ახერხებენ.

– ისე, თქვენს ნათქვამზე გამახსენდა, ლეიბორისტები ავტონომიურად იქცევიანო, რომ აღნიშნეთ, რატომ? „ნათელაშვილის ფანჩატური“ აერთიანებდა ოპოზიციას, თუ გახსოვთ...

– კი, მაგრამ საარჩევნო ალიანსები ლეიბორისტებისგან გახსოვთ?

– თავად აცხადებენ, დანარჩენი ოპოზიცია არასწორად რომ არ მოქცეულიყო, ერთიან პოლიტიკურ ქმედებებში ჩაერთვებოდნენ...

– ანუ, „აწვებიან“ იმას, რომ ან ჰქონდეთ გარანტირებული, ან სხვა შემთხვევაში არ ეკარებიან ზედმეტად ასეთ მცდელობებს. ეს ვიგულისხმე, თორემ დიალოგის ხელშეწყობა და მასში თანამონაწილეობა ერთია, მაგრამ როცა გამოდიან პარტიები სხვა პარტიებთან, ხან დუეტები რომ აქვთ და ხან ტრიო... გახსოვთ, ალბათ, წლების განმავლობაში გაერთიანებული ოპოზიცია რომ ერქვათ და შემდეგ რამდენიმე პარტია დარჩა. „ძალა ერთობაშია“-ს შემთხვევაშიც იგივე მოხდა...

– გასაგებია, შესაჯამებლად გკითხავთ – ე.წ. შუაშისტური პარტიები ერთიან პლატფორმას იმიტომ ვერ შექმნიან, რომ იდეოლოგიურად განსხვავდებიან და თან საკუთარ ამბიციაზე უარს ვერ იტყვიან?

– ასეა. პატარა პარტიების გაერთიანების პერსპექტივა, პრაქტიკულად, არ არსებობს იმიტომ, რომ ერთი მხრივ, მათ აქვთ განსხვავებული მსოფლმხედველობა და ეს არის ორიენტირები, რომლითაც გამოდიან ხოლმე პოლიტიკური ჯგუფები. რადგანაც ამაში ურთიერთწინააღმდეგობრივები არიან და ყველა ჯერზე, როდესაც სცადეს ამის გადაბიჯება, წარუმატებლად დამთავრდა. გავიხსენოთ ის, რომ „გირჩები“ და ნაციონალური მოძრაობა თვითმმართველობის არჩევნებზე ერთიანი პლატფორმით გამოვიდნენ და „გირჩები“ აღმოჩნდნენ ძალიან უხერხულ მდგომარეობაში, რადგან ნაციონალური მოძრაობის პირობა – „უფასო კვება სკოლებს“ – გირჩის გადმოსახედიდან მაშინვე მიუღებელი იყო. ეს კომპრომისი მათ პოლიტიკურად საკმაოდ ძვირი დაუჯდათ.

„ძიძგი, ძიძგი, მამალა, შენ იცი და მაგანა“...

რა ქონებას ფლობენ ლევან ხაბეიშვილი და ნიკა მელია

მაკა რუხაძე

პოლიტიკური დაპირისპირება ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში კულმინაციას აღწევს. პარტიის მოქმედმა თავმჯდომარემ, ლევან ხაბეიშვილმა ყოფილი თავმჯდომარე, ნიკანორ მელია, დავით კეზერაშვილის კუთვნილი ტელეკომპანია „ფორმულას“ პირდაპირ ეთერში პარტიიდან გარიცხა... ვიდრე მერაბიშვილისა და კეზერაშვილის დუეტი მელიას „გაშავებას“ განაგრძობს, „ვერსია“ მოქმედი და ყოფილი თავმჯდომარეების ქონებრივ დეკლარაციას გთავაზობთ.

ლევან ხაბეიშვილის დეკლარაცია

ლევან ხაბეიშვილით დავიწყოთ, რომელიც პროფესიით ეკონომისტია. დაიბადა 1987 წლის 7 მაისს, თბილისში. უმაღლესი განათლება ახალგაზრდა მეცნიერთა ასოციაციასთან არსებულ უნივერსიტეტში – „მცირე აკადემია“ მიიღო.

კარიერა 2006 წლიდან, სოციალური კვლევის ინსტიტუტში – „ბი სი ჯი“ დაიწყო; 2012-2013 წლებში – პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ადმინისტრაციაში, მთავარი სპეციალისტის პოზიციაზეა; 2013-2014 წლებში – თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე იყო; 2017 წელს აირჩიეს თბილისის საკრებულოს დეპუტატად.

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში ლევან ხაბეიშვილი ოპოზიციური პარტიების ნაწილის საერთო კანდიდატი იყო სამგორის მაჟორიტარულ ოლქში. მან ხმების 39.14% (27 506 ხმა) მიიღო და მეორე ადგილი დაიკავა. მეორე ტურში მონაწილეობასა და პარლამენტში პარტიული სიით შესვლაზე უარი განაცხადა, მთლიანად ოპოზიციასთან ერთად, გაყალბებული არჩევნების მოტივით. 2020 წლიდან, საქართველოს მეათე მოწვევის პარლამენტის წევრია.

ახლა ხაბეიშვილის ქონებრივ დეკლარაციასაც გადავავლოთ თვალი, რომლის მიხედვით, ლევან ხაბეიშვილის საკუთრებაში უძრავი ქონება არ ფიქსირდება. ენმ-ის ახალი თავმჯდომარის მოძრავ ქონებად ითვლება ავტომანქანა Toyota Higlander, რომელიც ლევან ხაბეიშვილმა 2020 წელს, 7 000 აშშ დოლარად შეიძინა. ამავე დოკუმენტის მიხედვით, ლევან ხაბეიშვილმა, თბილისის საკრებულოს წევრის პოზიციაზე, 2020 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრამდე, შემოსავლის სახით, 30 873 ლარი მიიღო.

დეკლარაციის შევსების მომენტში, ხაბეიშვილის სახელფასო ანგარიშზე 9 334 ლარი, ხოლო საკრედიტო ანგარიშზე, ჯამში – 2 179 ლარი ირიცხებოდა. ამასთან, მისმა პარლამენტის წევრის პოზიციაზე მისმა შემოსავალმა 42 412 ლარი, ხოლო თბილისის საკრებულოს წევრის პოზიციაზე 2021 წლის პირველ ხუთ თვეში – 12 864 ლარი შეადგინა. მასვე უფიქსირდება 23 500 ლარის მოცულობის სამომხმარებლო სესხი.

ნიკა მელიას დეკლარაცია

ნიკანორ მელია დაიბადა 1979 წლის 21 დეკემბერს, თბილისში, ცნობილი ექიმის – ანზორ მელიასა და ნანა ცაავას ოჯახში. 1996 წელს, დაამთავრა თბილისის 47-ე საშუალო, 2002 წელს – საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს აკადემია სამართალმცოდნეობის სპეციალობით, 2006 წელს – ოქსფორდის ბრუქსის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა ფაკულტეტი და მიიღო მაგისტრის ხარისხი.

2002-2003 წლებში, ნიკა მელია საქართველოს უშიშროების სამინისტროში, გამომძიებლად მუშაობდა. 2007 წელს, მუშაობა დაიწყო საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის თავდაცვისა და მართლწესრიგის დეპარტამენტში მრჩევლად, 2007-2008 წლებში – ამავე აპარატის სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტში იყო მრჩევლის პოზიციაზე. 2008-2009 წლებში, აღსრულების ეროვნული ბიუროს უფროსის მოადგილე გახლდათ, ხოლო 2009 წლიდან – აღსრულების ეროვნული ბიუროს უფროსი იყო.

2010 წელს, ნიკა მელია საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ უფროსი იყო. იმავე წელს გახდა აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებლო ბიუროს უფროსი, სადაც 2012 წლამდე მუშაობდა.

ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, 2013-2014 წლებში, ნიკა მელია მთაწმინდის რაიონის გამგებელი იყო. 2014 წელს, თბილისის მერის თანამდებობაზე იყრიდა კენჭს, თუმცა „ქართული ოცნების“ კანდიდატთან დამარცხდა. ამის შემდეგ დაიწყო მელიას აქტიური პოლიტიკური საქმიანობა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რიგებში.

2016-2019 წლებში, საქართველოს მე-9 მოწვევის პარლამენტის წევრი იყო, თუმცა 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენების შემდეგ, მელიას ჯგუფური ძალადობის ორგანიზების, ხელმძღვანელობისა და მასში მონაწილეობისთვის ბრალი წაუყენეს, პროკურატურამ პარლამენტს მისი დეპუტატის მანდატის შეჩერების მოთხოვნით მიმართა. 26 ივნისს, საპარლამენტო უმრავლესობამ მელიას სადეპუტატო იმუნიტეტი მოუხსნა, თუმცა სასამართლომ ის დარბაზიდან 30 000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა. 2019 წლის 12 ნოემბერს, პარლამენტარს დეპუტატის უფლებამოსილება შეუჩერდა.

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ და გაერთიანებულმა ოპოზიციამ – „ძალა ერთობაშია“ გლდანის საარჩევნო ოლქის მაჟორიტარობის კანდიდატად წარადგინა. პირველ ტურში, ნიკა მელიამ მიიღო 31 391 ხმა ანუ 44.06% და პირველ ადგილზე გავიდა. მეორე ტურში მონაწილეობაზე მელიამ უარი განაცხადა, მიუხედავად ამისა, მისი გვარი დატანილი იყო საარჩევნო ბიულეტენზე და მეორე ტურში ხმების 10.64% მიიღო.

რაც შეეხება ქონებრივ დეკლარაციას, ის საკმაოდ მწირია. დეკლარაციიდან ირკვევა, რომ ნიკა მელიას საკუთრებაშია ორი ბინა თბილისში და ავტოფარეხის 15%-იანი წილი. დეკლარაციის შევსების მომენტში, მელიას ლიბერთი ბანკის სახელფასო ანგარიშზე – 20 117 ლარი, ხოლო ნაღდი ფულადი თანხის სახით – 8 000 აშშ დოლარი ჰქონდა.

აუდიტის რომელ ანგარიშებს სწავლობს გენერალური პროკურატურა

მაკა რუხაძე

აჭარაში განხორციელებული აუდიტის ანგარიშები სახელმწიფო აუდიტორებმა წელიწადნახევრის წინ გადააგზავნეს გენერალურ პროკურატურაში. ამ თემას კიდევ ერთხელ იმიტომ მივუბრუნდით, რომ ორიოდე დღის წინ, ქობულეთსა და ბათუმში ძლიერი წვიმის შედეგად, ინფრასტრუქტურაც დაზიანდა და მოსახლეობაც დაზარალდა. სტიქიურ უბედურებასთან ადამიანი უძლურია და ეს შოვის ტრაგედიამაც დაგვანახა, თუმცა ჩვენ, ადამიანებს შეგვიძლია პრევენციული ზომების მიღება – სტიქიისგან მიყენებული ზარალის და მინიმუმ, რისკების შესამცირებლად. დიახ, უნებართვო მშენებლობები, ნაპირსამაგრი სამუშაოების უგულებელყოფა ზრდის სტიქიური უბედურების მასშტაბებს, თორემ ვიდრე კაცობრიობა არსებობს, წვიმაც მოვა, თოვლიც, სეტყვაც, რასაც ქარიშხალიც მოჰყვება, ხანდახან ზღვაც ადიდდება და შტორმი ამოვარდება...

მაშ, ასე, კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ბათუმის, ხელვაჩაურის, ქობულეთის მერიისა და აჭარის სამინისტროების საქმიანობას პროკურატურა სწავლობს. ანგარიშები, რომლებიც სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა საქართველოს გენერალურ პროკურატურაში გადააგზავნა, თავის დროზე, „ვერსიამ“ დეტალურად განიხილა, სათითაოდ, თითოეული მუნიციპალიტეტის მაგალითზე.

ბათუმის მერია

დავიწყოთ ბათუმის მერიის აუდიტით, რომლის მიხედვით, მუნიციპალიტეტი ვერ უზრუნველყოფს უნებართვო მშენებლობების შეჩერებას და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების უკანონო გამოყენებას, რაც არამართლზომიერი ქმედების რისკებს წარმოშობს. სახელმწიფო აუდიტორების საპასუხოდ, ბათუმის მერიაში აცხადებენ, რომ ნაკლოვანებების ნაწილი, რაც ქვეყნის მთავარმა მაკონტროლებლებმა დააფიქსირეს, პანდემიის ბრალია. რაც მთავარია, აუდიტის დასკვნაში აღნიშნული რეკომენდაციების უმეტესი ნაწილი ბათუმის მერიამ 2021 წელს უკვე შეასრულა, ხოლო რეკომენდაციების ნაწილს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ახლაც ასრულებენ.

„ბათუმის მუნიციპალიტეტის სუსტი შიდა კონტროლის პირობებში, არარაციონალურად გახარჯულია საწვავი. არ არის დაცული მთავრობის მიერ შემუშავებული რეგულაციები სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობასთან დაკავშირებით, რომლის გათვალისწინების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა 20 916 ლარამდე საბიუჯეტო სახსრების დაზოგვა. ყოველივე ეს, ავტოპარკის ოპტიმიზაციასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ ერთიანი პოლიტიკის განხორციელების ხელისშემშლელი გარემოებაა და ვერ უზრუნველყოფს საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურ და რაციონალურ ხარჯვას... მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სხვა დაწესებულებების დაკვეთით აშენებული 68.8 მილიონი ლარის ღირებულების შენობა-ნაგებობების აღრიცხვასთან დაკავშირებით არსებული შეუთანხმებელი საკითხები უარყოფითად მოქმედებს აქტივების მოვლასა და სათანადო ექსპლუატაციაზე, რამაც შესაძლოა დამატებითი ფინანსური ხარჯები გამოიწვიოს“, – ვკითხულობთ აუდიტის ანგარიშში.

ამავე ანგარიშიდან ირკვევა, რომ აზიის განვითარების ბანკის დაფინანსებით, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა განახორციელა ბათუმის ნაპირდაცვის პროექტი, რომლის ღირებულება 55 000 006 ლარი იყო. ბათუმის მერიის წარმომადგენლის მიერ, სახელმწიფო აუდიტორებისთვის წარდგენილი ინფორმაციით ირკვევა, რომ სანაპირო ზოლზე აშენდა 1 750 მეტრი სიგრძის ნაპირსამაგრი ნაგებობა ანუ ქვის წყობა, დაიგო ბულვარის ახალი საფარი, პლაჟი შეივსო ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით. ნაპირსამაგრი სამუშაოების დასრულების შემდეგ კი წამოიჭრა საკითხი ქონების მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებით.

„საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის პოზიციის შესაბამისად, ნაპირსამაგრი ნაგებობა შედის ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში და მიღება-ჩაბარების აქტით უნდა გადაეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს. შემდგომში მერიამ უნდა განახორციელოს პროექტის ფარგლებში შექმნილი ქონების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები, მათ შორის, სანაპირო ზოლის კვება ანუ ინერტული მასალის შეტანა. ბათუმის მერიის განმარტებით კი, შესაბამისი დახმარების გაწევის გარეშე, ის ვერ აიღებს პასუხისმგებლობას აღნიშნული საქმიანობის განხორციელებაზე. მერიის შესაბამისი პასუხისმგებელი პირების განმარტებით, აღნიშნული ნაგებობა აუდიტის პერიოდისთვის არ არის მიღებული ექსპლუატაციაში, თუმცა, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდთან შეთანხმებით, დაგეგმილია სათანადო ღონისძიებების გატარება ობიექტის მიღებისა და ექსპლუატაციის უზრუნველსაყოფად“.

აუდიტის მიმდინარეობისას ჩატარებული დათვალიერებით აღმოჩნდა, რომ ნაგებობის მოვლა-შენახვა უზრუნველყოფილი არ იყო, სანაპირო ზოლშიც არ იყო შეტანილი ინერტული მასალა, რის შედეგადაც ზღვაში აღმოჩნდა სანაპიროს გარკვეული ნაწილი. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ არსებობდა რისკი, მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსით შექმნილი ქონება, მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს სხვადასხვა სტრუქტურას შორის შეუთანხმებლობის გამო, დაზიანებულიყო, რაც დამატებითი ფინანსური რესურსის ხარჯვას გამოიწვევდა.

გარდა ამისა, აუდიტის მიერ მოპოვებული ინფორმაციის შესაბამისად, გარემოს ეროვნული სააგენტოს ბალანსზე ირიცხება ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე არსებული 13 337 285 ლარის საწყისი ღირებულების ნაპირსამაგრი ნაგებობები, რომელთა ქალაქ ბათუმის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, სააგენტოს არაერთი მიმართვის მიუხედავად, მერიამ უძრავი ქონება არ მიიღო.

აჭარის სამინისტროები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების, კერძოდ, ფინანსთა და ეკონომიკის, განათლების, ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობის მიერ, 2020 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობის აუდიტი. სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის დროს, ბაზრის კვლევა რიგ შემთხვევებში არ ჩატარებულა ან/და ჩატარებული კვლევა ფორმალურია და არ ემსახურება პოტენციური მიმწოდებლების გამოვლენისა და შემსყიდველი ორგანიზაციისათვის მისაღები ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის მიზნებს. მეტიც, ბაზრის არასათანადო კვლევის შედეგია შესყიდვის სავარაუდო ღირებულების არასწორად განსაზღვრა.

„2020 წელს, 98 შემდგარი ტენდერიდან 39 შემთხვევაში, ფიქსირდება 20%-იანი და მეტი ეკონომია. შედეგად, შესყიდვების ჯამური სავარაუდო ღირებულება შემცირდა 2 004 522 ლარით. ამასთან, მთლიანი ტენდერების 26% გაიმართა ერთი პრეტენდენტის მონაწილეობის პირობებში, სადაც შესყიდვების ჯამური სავარაუდო ღირებულება შემცირდა მხოლოდ 111 116 ლარით ანუ 8%-ით. ბაზრის კვლევის ნაკლოვანებების გამო, ტენდერში/კონკურსში კონკურენციის არარსებობა ან/და გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება იწვევს არაეკონომიურ ხარჯს.

სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ღონისძიების შეუფერხებლად ჩატარების საფუძვლით, გამარტივებული წესით განხორციელებულია ისეთი საქონლის შესყიდვა, რომელზეც ტენდერის დროულად გამოცხადება არ გამოიწვევდა ღონისძიების შეფერხებით ჩატარებას“.

აუდიტის შედეგად ისიც გაირკვა, რომ სამინისტროებმა განახორციელეს 1 071 664 ლარის ღირებულების სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტი, რომლებიც შემსყიდველმა ორგანიზაციებმა ჩაიბარეს საექსპერტო დასკვნისა და ინსპექტირების ჯგუფის შეფასების საფუძველზე, თუმცა შესრულებული პროექტების ადგილზე დათვალიერების შედეგად, აუდიტორთა ჯგუფმა ხარვეზები გამოავლინა. მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი ხელშეკრულებებით შესრულებულ სამუშაოებზე მოქმედებს საგარანტიო ვადები, შემსყიდველ ორგანიზაციებს გონივრულ ვადებში არ აღმოუჩენიათ ხარვეზები და არც მათი აღმოფხვრის მიზნით გაუტარებიათ კანონმდებლობით დადგენილი ღონისძიებები.

„ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ, მაჭახელას ხეობაში, ეთნოსოფლის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის (განვითარების გეგმა-კონცეფცია) შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით,

დასასრული მე-8 გვერდზე

აუდიტის რომელ ანგარიშებს სწავლობს გენერალური პროკურატურა

მე-7 გვერდიდან

2018 წლის 11 ივლისს, გამოაცხადა კონკურსი. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 423 700 ლარით, დღგ-ის გარეშე. კონკურსში მონაწილეობდა ერთი პრეტენდენტი, რომლის შეთავაზებულმა ფასმა შეადგინა 385 000 ლარი, დღგ-ის გარეშე. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ღირებულება, დღგ-ის ჩათვლით, 454 300 ლარი იყო. სამინისტრომ ვერ წარმოადგინა ბაზრის კვლევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. გარდა ამისა, არსებობს იმის რისკი, რომ სამინისტროს სათანადოდ არ შეუსწავლია ყველა კვალიფიციური მოსაზრება განვითარების გეგმა-კონცეფციასთან დაკავშირებით".

სახელმწიფო აუდიტორების ხელთ არსებული დოკუმენტებით, მაჭახელას ხეობაში, ეთნოსოფლის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის (განვითარების გეგმა-კონცეფცია) შედგენის მომსახურება შესყიდულია 454 300 ლარად. არადა, ანალოგიური შინაარსისა და მნიშვნელობის სხვა სახელმწიფო შესყიდვებში, 100 000 ლარით ნაკლებია გადახდილი.

ქობულეთის მერია

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ ქობულეთის მერიას არ ჩაუტარებია ფინანსური აქტივების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია, რომელიც 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 19 523 656 ლარს შეადგენდა. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელებული ინვენტარიზაცია არ მოიცავდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ყველა უძრავ ქონებას, რომლის ინვენტარიზაცია, მოქმედი რეგულაციების თანახმად, სამ წელიწადში ერთხელ მაინც ტარდება. ინვენტარიზაციის დადგენილი წესით ჩაუტარებლობის გამო, მუნიციპალური ქონების ნაწილი ჯერ კიდევ არ ირიცხება მუნიციპალიტეტის ბალანსზე.

„გარდა ამისა, 8 ინფრასტრუქტურული პროექტის სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის ხარჯთაღრიცხვებში გათვალისწინებული იყო არსებული აქტივების დემონტაჟი და ამის შედეგად მიღებული ვარგისი სამშენებლო მასალისა და სხვა დაუზიანებელი აქტივის დასაწყობება. შესაბამის მიღება-ჩაბარებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციით, დემონტაჟის სამუშაოები შესრულებულია და ქონება დასაწყობებულია, თუმცა მათი ინვენტარიზაცია და მუნიციპალიტეტის ბალანსზე ასახვა არ მომხდარა. აღსანიშნავია, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიამ ვერ წარმოადგინა ინფორმაცია ვარგისი ქონების ფაქტობრივი მდგომარეობის, მოცულობისა და განთავსების ლოკაციების თაობაზე. გამომდინარე ქონების დემონტაჟის შემდეგ გასული პერიოდისა, მაღალია რისკი, რომ ქონება განადგურებულია ან/და იმყოფება მესამე პირების არამართლზომიერ მფლობელობაში. აღნიშნულის გამო, აუდიტის ჯგუფს არ აქვს შესაძლებლობა განახორციელოს ქონების იდენტიფიცირება და ინვენტარიზაცია".

სახელმწიფო აუდიტორების რეკომენდაციით, საჯარო ქონების ეფექტიანი მართვისთვის, ქობულეთის მერიამ უნდა შეიმუშაოს კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომელიც უზუნველყოფს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში/მართვაში არსებული ყველა ქონების აღწერას, მისი ღირებულებით შეფასებას და ბალანსზე ასახვას, ხოლო არარსებული ქონების ბალანსიდან ჩამოწერას შესაბამისი პროცედურებით.

ხელვაჩაურის მერია

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ ხელვაჩაურის მერიამ 2 884 841 ლარის ღირებულების მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა განახორციელებინა გამოცდილების არმქონე იურიდიულ პირს, რომელსაც საბაზრო ფასთან შედარებით, ზედმეტად გადაუხადეს 194 586 ლარი, ხოლო სატრანსპორტო ხარჯის გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტების გარეშე, 45 064 ლარი აანაზღაურეს. აუდიტის ანგარიშის მიხედვით, ამ საცხოვრებელი სახლის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა განხორციელდა 2019 წელს. სახლი ეკომიგრანტებისთვის იყო განკუთვნილი.

„წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის მიმწოდებელს – შპს „მშენებელთა ჯგუფს", საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის შესაბამისი გამოცდილება არ გააჩნია და ფაქტობრივად, ეს სამუშაო მას არ შეუსრულებია. საპროექტო დოკუმენტაცია მოამზადა და პროექტის ინსპექტირება განახორციელა მესამე მხარემ და რეალური ღირებულება შეადგენს 75 000 ლარს. აღნიშნული დასტურდება ქვეკონტრაქტორის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით, თუმცა მერიას ამ მომსახურებისათვის მიმწოდებელზე გადახდილი აქვს 10 000 ლარით მეტი ანუ 85 000 ლარი".

აუდიტის ანგარიშით ისიც ირკვევა, რომ ამასთან ერთად, გენერალური პროკურატურა ხელვაჩაურში, წყალმომარაგების კუთხით შესრულებული სამუშაოებითაც უნდა დაინტერესდეს. მიზეზი აუდიტის ანგარიშში დეტალურადაა ახსნილი:

„ხელვაჩაურის ორ სოფელში ჭაბურღილის მოწყობისთვის, წყლის რესურსის განსაზღვრის მიზნით, გეოლოგიური კვლევისათვის, ბიუჯეტიდან გადახდილია 45 000 ლარი. კვლევის შედეგების გათვალისწინებით, მერიამ სოფელ განახლებაში, წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოებზე გასწია 134 829 ლარის ხარჯი, რომელიც მოიცავდა სატუმბის, რეზერვუარისა და საქლორატოროს მშენებლობას, ასევე, მაგისტრალის არსებულ ჭაბურღილზე დაერთებას, თუმცა განხორციელებული აუდიტორული პროცედურების შედეგად გამოვლინდა, რომ მოსახლეობას სასმელი წყალი არ მიეწოდებოდა. მუნიციპალიტეტის ინფორმაციით, აღნიშნული გამოწვეულია წყლის მარაგის დაწევით, თუმცა შესაბამისი დოკუმენტური დასაბუთება ვერ იქნა წარმოდგენილი. ამასთან ერთად, ანალოგიური მიზეზის გამო, არ გამოიყენება მეორე სოფელში მოწყობილი ჭაბურღილიც".

გარდა ამისა, 2019-2020 წლებში, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტმა, შპს „ხელვაჩაურის წყალკანალის" საშუალებით, წყალსადენის სათავე ნაგებობებისა და რეზერვუარის მოვლა-ექსპლუატაციისათვის დაქირავებულ ფიზიკურ პირებზე შრომის ანაზღაურებისათვის გადაიხადა 800 985 ლარი. მუნიციპალიტეტში არსებული 66 ერთეული წყალსადენის რეზერვუარის მოვლა ექსპლუატაციისათვის შპს „ხელვაჩაურის წყალკანალში" დასაქმებულია 81 შტატგარეშე თანამშრომელი და ჯამში გაცემულია შრომის ანაზღაურება 431 000 ლარის ოდენობით. დასაქმებულ პირებს უნდა განეხორციელებინათ წყლისა და შენობა-ნაგებობის რეცხვა-გასუფთავება, თუმცა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით ვალდებულების ჯეროვნად შესრულება აუდიტორების ხელთ არსებული დოკუმენტებით არ დასტურდება.

სამართალი

№45 29 ნოემბერი 2023 წ

20 ათასი დოლარის საიდუმლო

სად გაუჩინარდა ორი შვილის დედა

ბათო ჯაფარიძე

სავარაუდოდ, მარტო საქართველოში არ ხდება ისე, რომ მშობლები 40 წლის შვილებს „ბავშვებს“ ეძახიან და ცდილობენ, მათ ცხოვრება ისე მოუწყონ, რომ ამ ასაკშიც კი ხელის განძრევა არ დასჭირდეთ. სამწუხაროდ, არაერთი ემიგრანტი ქალი სწორედ 40 წელს გადაცილებულ „ბავშვებს“ არჩენს და ისინიც თვიდან თვემდე ელიან, როდის გამოუგზავნის დედა ფულს, რათა ოჯახი არჩინონ და გაუთავებლად ეძებონ სამსახური, რომელსაც პოულობენ, მაგრამ მუშაობას არ იწყებენ. რატომ? – იმიტომ, რომ დედა ფულს უგზავნის.

ისტორია, რომელსაც ახლა გიამბობთ, არცთუ დიდი ხნის წინ მოხდა და მასში, შესაძლოა, ბევრმა საკუთარი თავი ამოიცნოს. პოლიციის განყოფილებაში 40 წლის მამაკაცი მივიდა და განაცხადა, რომ დედამისი გაქრა.

„ორი დღეა, დედა ზარებს არ პასუხობს, წავედი აგარაკზე, სადაც ის ცხოვრობდა და ადგილზე არ დამხვდა. არ ვიცი, რა ვიფიქრო, ასე არასდროს მოქცეულა. ყველაზე მეტად კი ის მაფიქრებს, რომ ერთი კვირის წინ, მანქანა გაყიდა, დაახლოებით, 20 ათასი დოლარი აიღო და ვინ იცის, ეგებ, ამ ფულისთვის გააქრეს“, – მოთქვამდა კაცი.

სამართალდამცავები იმ აგარაკის სანახავად წავიდნენ, სადაც ქალი ცხოვრობდა და იმის მიუხედავად, რომ სახლში იდეალური წესრიგი იყო, სამზარეულოში, მეტლახზე, სისხლის რამდენიმე წვეთი შენიშნეს. მაშინვე მამაკაცს მიუტრიალდნენ, თქვენ რომ იყავით, ეს სისხლის წვეთები იყოო და მან თავი დაუქნია, იყო, მაგრამ თქმა დამავიწყდა, იმ გამქრალ ფულზე ვფიქრობ, ვიცი, სადაც ინახავდა თანხას და ფული იქ არ არისო. ამ დროს, აგარაკზე ახალგაზრდა ქალი მოვიდა, როგორც მერე გაირკვა, დაკარგულის მეორე შვილი და ისტერიკა მოაწყო, ჩემი ძაღლი სად გაქრა, აქ უნდა იყოსო. და-ძმა ამბობდა, რომ დედას ერთმა ძაღლი ჩამოუყვანა არცთუ დიდი ხნის წინ, მეორემ – კატა. საქმე ის გახლდათ, რომ გოგონაც ორსულად იყო და ბიჭსაც ორსულად ჰყავდა ცოლი, ექიმებმა კი, რეკომენდაცია მისცეს, რომ შინაურ ცხოველებს მორიდებოდნენ. სანამ სამართალდამცავები იქაურობას ათვალიერებდნენ და სისხლის ნიმუშს იღებდნენ, და-ძმა ერთმანეთს წაეკიდა, ახლა რომ მოგინდა ბავშვის გაჩენა, დედა რამდენად უნდა გაიჭრას, არა მე უნდა დამეხმაროს, არა – მეო. პარალელურად, ორივემ დაიწყო იმ ფულის ძებნა, რომელიც დედამ მანქანის გაყიდვის შედეგად მიიღო და თან პოლიციელების გასაგონად ამბობდნენ, დედა იმ ფულს მე დამპირდაო. როგორც იქნა, ძალოვანებმა და-ძმა დააშოშმინეს და გამოკითხვისთვის მისაღებში დასვეს.

„მამა ადრე გარდაგვეცვალა, დედამ ყველაფერი გაიკეთა, რომ ჩვენ კარგად გვეცხოვრა – წლების მანძილზე, ერთ-ერთ ბანკში მთავარ ფინანსისტად მუშაობდა. როცა გავთხოვდი, ოროთახიანი ბინა მაჩუქა, ამ ბედოვლათს მამის სახლი ერგო – სამოთახიანი ბინა. აგარაკი ადრევე გვქონდა, დედა პენსიაზე რომ გავიდა, აქაურობა გაარემონტა და საცხოვრებლად აქ გადმოვიდა. იშვიათად ჩამოვდიოდით, თავად ხშირად მოდიოდა, ხან ერთთან, ხან – მეორესთან. დანაზოგის გარდა, ფართები ჰქონდა გაქირავებული და აღებული ფულით ჩვენ გვეხმარებოდა. არც ჩემი ქმარი მუშაობს, არც – ჩემი ძმა, მაგრამ ჩემი ქმარი სამსახურს ეძებს, ეს ბედოვლათი კი მუდმივად დედის კისერზე იყო და არაფერს ეძებს. ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ დედას არ დაერეკოს და არ მოვეკითხეთ, ეს ორი დღეა, გაქრა და ტელეფონიც გათიშული აქვს“, – წუწუნებდა გოგონა.

ამასობაში, სამართალდამცავებმა გაარკვიეს, რომ ავტომობილი ქალმა იქვე, მეზობლად მცხოვრებ მამაკაცს მიჰყიდა და მის სანახავად წავიდნენ. კაცმა დაადასტურა, მანქანა ვიყიდე, ფული გადავუხადე, „ქეში“ მივეცი და თუ ეგ ქალი სადმე გაქრა, მე რა შუაში ვარო. გადაამოწმეს და მეზობელ მამაკაცზე სამართალდარღვევა არ ირიცხებოდა და მეტიც, მისი შემოსავლებიდან გამომდინარე, მანქანის თანხის გამო, ის ქალს ზიანს არ მიაყენებდა. ამასობაში, ექსპერტებმა ისიც გაარკვიეს, რომ სისხლი ძაღლის იყო, რამაც გოგონა ისევ ისტერიკაში ჩააგდო, ჩემს ცუგას რაღაც სჭირსო. პოლიციის IT-სპეციალისტებმა დაკარგული ქალის სოციალური ქსელი იპოვეს, რომლის არსებობაზეც შვილებს წარმოდგენაც არ ჰქონდათ, რა სოციალური ქსელი, ტელეფონს იშვიათად ჰკიდებდა ხელს, მარტო დასარეკად იყენებდაო, მაგრამ გაირკვა, რომ მათი დედა სოცქსელის აქტიური მომხმარებელი იყო და არაერთი ფოტოც ჰქონდა გაზიარებული. მათგან ერთ-ერთი ასაკოვან მამაკაცთან გადაღებული ფოტო გახლდათ, საკმაოდ თბილი ფოტო, ქალს ბედნიერებისგან სახე უბრწყინავდა და არ კაცი ჩანდა უბედური. შვილებმა მხრები აიჩეჩეს, წარმოდგენა არ გვაქვს, ეს ბაბუ ვინ არისო. გამოდიოდა, რომ შვილებმა დედის შესახებ არაფერი იცოდნენ გარდა იმ შემოსავლებისა, რომელიც ქალს ჰქონდა.

გამომძიებლებმა ბინა საგულდაგულოდ გაჩხრიკეს და მანქანის გაყიდვით მიღებულ ფულს მიაგნეს. სანამ და-ძმა იმას არკვევდა, როგორ უნდა გაეყოთ თანხა, ძალოვნებმა აუხსნეს, რომ ფული, როგორც ნივთმტკიცება, ჯერ მათთან დარჩებოდა, პარალელურად კი იმ კაცის ძებნა დაიწყეს, რომელიც ფოტოზე იყო. ჰო, ისიც გაირკვა, რომ ქალის ტელეფონი სწორედ აგარაკზე გაითიშა ანუ ის იქიდან წაიყვანეს.

მამაკაცის ვინაობა მალე დაადგინეს, ისიც საკუთარ სახლში, იმავე სააგარაკე ადგილიდან დაახლოებით ორ კილომეტრში ცხოვრობდა. გამომძიებლებმა მისი დაკითხვა გადადეს და მხოლოდ თვალთვალი დააწესეს. სახლში მასთან ყოველდღე ასევე ასაკოვანი ქალი მიდიოდა, საღამომდე რჩებოდა, დილა-საღამოს კი, მამაკაცი ძაღლს ასეირნებდა. როგორც დაკარგულის შვილი ამბობდა, მან დედას მოსავლელად ფრანგული ბულდოგი ჩაუყვანა, მუგუზალივით შავი, რომელსაც თეთრი ლაქა უკანა მარჯვენა ფეხზე ჰქონდა. ძაღლი, რომელსაც მამაკაცი ასეირნებდა, ფრანგული ბულდოგი იყო... უკანა მარჯვენა ფეხზე თეთრი ლაქით. რაც შეეხება ქალს, რომელიც მამაკაცს აკითხავდა, მისი ბიძაშვილი იყო, რაც მთავარია, დაკარგულ ქალბატონთან ერთად წლები მუშაობდა და მის უახლოეს მეგობრად ითვლებოდა. გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ ქალი გატაცებული იყო და სწორედ იმ სახლში იმალებოდა. ამიტომ, სპეცოპერაციის ჩატარება მაშინ გადაწყდა, როცა მამაკაცი ძაღლს ასეირნებდა, მისი ბიძაშვილი კი შინ არ იყო. ძალოვნებმა კაცი მარტივად დააკავეს, სახლში შევარდნილებს კი საოცარი სურათი დახვდათ – დაკარგული ქალი სამზარეულოში, გაზქურასთან იდგა და სადილს ამზადებდა. ნიღბიანი სპეცრაზმელების დანახვამ ძალიან დააფრთხო, იმაზეც დაიბნა, როცა სახლის მეპატრონე ბორკილებდადებული შემოიყვანეს, სწორედ ამ დროს, სახლის მეპატრონის ბიძაშვილიც მივიდა და სიტუაციას რომ შეხედა, გაოცებულმა იკითხა, აქ რა ხდებაო. სამართალდამცავები უფრო გაოცდნენ და სამეულს უთხრეს, თქვენ მოყევით, რა ხდება აქო.

„ეს კაცი ჩემი ბიძაშვილია, ეს ქალი – ჩემი საუკეთესო მეგობარი, წლები ვიმუშავეთ ერთად. მთელი ცხოვრება შვილებზე იყო გადაყოლილი და იმის მიუხედავად, რომ ოცნებად პარიზის ნახვა ჰქონდა, ვერასდროს მოიცალა საფრანგეთში წასასვლელად, ბავშვებს მარტო ვერ დავტოვებო. არადა, ის „ბავშვები“ 40 წელს გადასცდნენ და ისევ დედას არიან ჩამოკიდებულები. ჩემი ბიძაშვილი ქვრივია, როცა მეგობარი გავაცანი, მაშინვე სიმპათიით განეწყო, ერთმანეთი შეუყვარდათ. ფინანსურად არც ამას უჭირს და გადაწყვიტეს, საფრანგეთი ენახათ, მაგრამ ამ უბედურმა ერთხელ გადადო, მეორედ, მესამედ... ახლა თქვა, ჩემი რძალიც ორსულად არის და შვილიც, სანამ ბავშვები სკოლაში არ წავლენ, დახმარება დასჭირდებათ, მე უნდა გავზარდო შვილიშვილებიო. ჩავთვალეთ, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა და ჩემი მეგობარი სახლიდან გამოვიტყუე, აქ მოვვიყვანეთ და ძალით გვსურს პარიზში წაყვანა. ჰო, პარიზში, მისი ოცნების ქალაქში და აგერ, ბილეთები მოვიტანე“, – თქვა მოსულმა ქალმა და ჩანთიდან ორი ბილეთი ამოიღო.

სამართალდამცავებმა ერთმანეთს გადახედეს. გამომძიებელმა აღარ იცოდა, რა ექნა, ერთი შეხედვით, დანაშაული იყო და არც იყო, რადგან რეალურად, ქალს არავინ იჭერდა, მას უბრალოდ, ტელეფონი წაართვეს, შვილებისთვის რომ არ დაერეკა, სხვა მხრივ კი, ნამდვილად არაფერი უჭირდა. პარიზის რეისი ორ დღეში იყო და... გამომძიებელმა ქალს უთხრა, გაფრინდით, რომ ჩამოხვალთ, დანარჩენი მერე გავარკვიოთ, შვილებს კი მე დაველაპარაკებიო. როცა შვილებმა გაიგეს, დედა პარიზში გაფრინდაო, კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარეს, რა დროს ეგ იყო, თან რამხელა ფული დაუჯდება იქ წასვლა-წამოსვლა, არასწორად მოიქცა, ამ დროს რომ მიგვატოვაო.

წყვილი საფრანგეთიდან სამი თვის შემდეგ დაბრუნდა და ქალი საცხოვრებლად მამაკაცთან დარჩა. შვილები კი... შვილები მიხვდნენ, რომ გაზრდის დრო იყო სამსახურის ძებნა მართლა დაიწყეს. არ გაგიკვირდებათ, თუ გეტყვით, რომ სიძემაც და შვილმაც სამსახურები მალე იპოვეს.

როგორ დაგეგმა დამ ძმის მკვლელობა

ვინ არის უკრაინელი ქალი, რომელიც საქმეში ფიგურირებს

ბათო ჯაფარიძე

თქვენი აზრით, რას მოიმოქმედებდნენ ადამიანები, რომ იცოდნენ, როდის გარდაიცვლებიან? ეჭვი მაქვს, ბევრს სერიოზული ფსიქოლოგიური პრობლემები დაეწყებოდა, ბევრი გაბოროტდებოდა, ბევრი კი შეეცდებოდა, სიკეთე ეკეთებინა და თავი ამით დაემახსოვრებინა. რეალურად, განუკურნებული სენით დაავადებული ადამიანების აბსოლუტურმა უმრავლესობამ იცის, რომ ბევრი აღარ დარჩენია და საბედნიეროდ, მათი უმრავლესოა ცდილობს, სიკეთე აკეთოს. რაც მთავარია, ბევრი ცდილობს, იმ კვლევით ინსტიტუტებს დაეხმაროს, რომლებიც სწორედ ამ დაავადების სამკურნალო პრეპარატსა თუ გზებს ეძებენ.

გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს, შს სამინისტროში (ჰო, სწორედ სამინისტროს მისაღებში) ახალგაზრდა კაცმა დარეკა, რომელმაც განაცხადა, რომ განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელთან სურდა საუბარი და იმასაც ამტკიცებდა, საქმე საერთაშორისო სკანდალთან გვაქვს და რაც მალე მოვა, კარგი იქნება, რადგან დიდი ხნის სიცოცხლე არ დამრჩენიაო. ზარის შინაარსის მიუხედავად, გამომძიებელმა დასახელებულ მისამართზე მისვლა მხოლოდ 11 დღის შემდეგ მოახერხა. კარი ქალმა გააღო, როცა გამომძიებელმა მოწმობა აჩვენა და მისვლის მიზეზი უთხრა, ქალი გაოცდა და ჩუმად ჩაილაპარაკა: „ხომ ვამბობდი... მე ხომ არ მჯეროდა“... შემდეგ ოთახიდან მამაკაცი გამოვიდა, გამომძიებელს უნდოდ შეხედა, თუმცა როცა მისვლის მიზეზი გაიგო, მისაღებში შეიპატიჟა, მხრები აიჩეჩა და დაიწყო:

„ის, ვისაც თქვენ ეძებთ, ჩემი შვილია. ორი დღის წინ დავასაფლავეთ და როგორც თქვენ ამბობთ, როცა თქვენთან დარეკა, სამი დღის შემდეგ, თავი მოიკლა. მე ჩემოვხსენი თოკიდან. არ გამკვირვებია, სისხლის გათეთრება ჰქონდა, გადარჩენის შანსი ნული და ეს იმის მიუხედავად, რომ ლამის მთელი საბჭოთა კავშირი მოიარა. იმდენად შორს იყო წასული დაავადება, რომ გადარჩენა ვერანაირად მოხერხდებოდა. ბოლოს ფსიქოლოგიური პრობლემები დაეწყო და მოხდა ის, რაც მოხდა. დედამისიც ამ დაავადებით გარდაიცვალა, ეს ჩემი მეორე ცოლია და მის გარდა, ყველას გვჯერა, რომ ჩემმა ბიჭმა თავი მოიკლა. აი, ჩემი ცოლი კი ამბობს, რომ მის გერს თავი არ მოუკლავს და ის ჩამოახრჩვეს. იცით, ამის რატომ არ მჯერა? ასეთი დაავადების მიუხედავად, ფიზიკურად ძალიან ძლიერი იყო და გამორიცხულია, ვინმე მარტივად გამკლავებოდა. მას სხეულზე ძალადობის კვალი არ ეტყობოდა და ცხვარი ხომ არ იყო, ყულფი ჩამოეცვათ და ეს არ განძრეულიყო? ექსპერტიზა არ ჩამიტარებია, მაქვს იმდენი შესაძლებლობა, რომ ყველაფერი მარტივად მომეგვარებინა“...

განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელმა არაფერი თქვა, ჩუმად გაიხურა კარი და მეორე დღეს, ოჯახს გვამის ეგსგუმაციის ნებართვის საბუთით დაადგა. მამამ გააპროტესტა, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა, სამართალდამცავებსა და ექსპერტებს სასაფლაოზე გაჰყვა. ეგსგუმაცია უსიამოვნო პროცედურაა, თუმცა ისე ჩანდა, ექსპერტებმა თავისი საქმე გადასარევად იცოდნენ და კუბოს გახსნის შემდეგ, ყველაფერს 10 წუთში მორჩნენ, ჭირისუფალს კი დაუბარეს, ექსპერტიზის პასუხები მზად სამ დღეში იქნებაო.

ექსპერტიზა მართლაც სამ დღეს გაგრძელდა და მისი შედეგების გაცნობის შემდეგ, გამომძიებელმა თავი ხელებში ჩარგო. ის კარგად ხვდებოდა, რომ საქმე მარტივი არ იქნებოდა და იმასაც ხვდებოდა, რომ ოჯახს ეჭვი არავისზე ჰქონდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მამა ასე მარტივად ვერ გაიმეტებდა შვილს დასამარხად და ექსპერტიზას თავად გააკეთებდა. ექსპერტის დასკვნით, გარდაცვლილის ორგანიზმში იმ დონის დასაძინებელი პრეპარატი იყო შეყვანილი, ერთ კაცს კი არა, ათს დააძინებდა. ექსპერტი იმასაც ამბობდა, რომ არ ჩამოეკიდათ, ასეთი დოზის მიღების შემდეგ, ეგებ, მაინც მომკვდარიყოო. როცა ექსპერტიზის დასკვნა მამამ წაიკითხა, ჩუმად წამოდგა, ოთახიდან გავიდა, მალევე დაბრუნდა და გამომძიებელს მაგიდაზე ფულის შეკვრები დაუყარა – ვინც მკვლელს იპოვის, ეს თანხა, პრემიის სახით, იმას მიეცითო. მაგიდაზე, დაახლოებით, ბინის საყიდელი ფული ეყარა. რა თქმა უნდა, გამომძიებელმა თანხა თავაზიანად გასწია უკან, მერე კი მამასა და დედინაცვალს დაეკითხა, ხომ არ იცით, ვინ შეიძლებოდა მისი მტერი ყოფილიყოო?

„დაავადების შესახებ რაც გაიგო, მკურნალობაზე გადაერთო და ყურები არ ჩამოუყრია. არც მე მიჭირს ფინანსურად, არც მას უჭირდა. ცოლის მოყვანას აპირებდა, მაგრამ საცოლეს უთხრა, თუ არ განვიკურნე, ვერ მოგიყვან, აზრი არ აქვს, დაქვრივდებიო. მერე დაიწყო მოგზაურობა და სხვადასხვა ექიმთან ვიზიტები. ხან ჩნდებოდა იმედი, ხან – ქრებოდა. ერთ-ერთი ასეთი მოგზაურობის დროს ვიღაც უკრაინელი გოგონა გაიცნო, საქართველოში ჩამოიყვანა, მოვლა რომ სჭირდებოდა, ის უვლიდა. კარგი ურთიერთობა ჰქონდათ, ცოლად მოყვანას რომ არ აპირებდა, ეტყობოდა, მაგრამ ერთად თავს ძალიან კარგად გრძნობდნენ. ის გოგოც ბევრს არაფერს ითხოვდა, ჩემს შვილთან ერთად ბედნიერი იყო, როცა მისი გარდაცვალების შესახებ შეიტყო, ლამის გაგიჟდა. ახლა ჩემი შვილის ბინაში ცხოვრობს და დღე-დღეზე სამშობლოში წასვლას აპირებს. მე გოგოც მყავს, უძღები შვილი... მასაც ყველაფერი მივეცი, მაგრამ სამჯერ გათხოვდა ოფიციალურად, არაოფიციალურად კი... ბოლს რუსეთში იყო, იქ გაჰყვა ვიღაცას. არ ვიცი, საიდან გაიგო ძმის ავადმყოფობის შესახებ, დაბრუნდა... არ მინდოდა მიღება, ჩემმა ბიჭმა არ ქნა და არც ვნანობ, გამოსწორებულია, თითქოს დაბრძენებული. ბინაში არ გაჩერდა, საკუთარი თავის რჩენა შემიძლიაო, ბინა იქირავა, თუ არ ვცდები, ორ ადგილზე დამლაგებლად მუშაობს და მიხარია, შრომას რომ შეეჩვია“, – განაცხადა გარდაცვლილის მამამ.

გამომძიებელი დის სანახავად წავიდა, გამოჰკითხა და მართალია, მისგან საინტერესო ვერაფერი გაიგო, იმაში კი დარწმუნდა, რომ ეს ქალბატონი დამლაგებლად ნამდვილად არ იმუშავებდა, რადგან ძალიან ქედმაღლურად იქცეოდა. რაც მთავარია, ძვირადღირებულ სიგარეტს ეწეოდა და მაძებარმა სახლში ძვირფასი კონიაკის კოლექციაც შენიშნა. ამას კი დამლაგებლის ხელფასით ვერ იყიდდა. უკრაინელი გოგონას მონახულების დრო დადგა და ცოდვა გამხელილი სჯობს – გამომძიებელი მისი გარეგნობით იმდენად მოიხიბლა, გულიც კი დასწყდა, რომ გაიგო, ქალი სამ დღეში სამშობლოში ბრუნდებოდა სამუდამოდ, აქ მხოლოდ გარდაცვლილი მაკავებდა, მჯეროდა, გამოჯანმრთელდებოდა, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდაო. რაც შეეხება გარდაცვლილის ქართველ საცოლეს, გოგონა აშკარად გაბრაზებული იყო, გარდა იმისა, რომ თავიდან მომიშორა, მერე ვიღაც უკრაინელი კახპა ჩამოათრია, ის კახპა რამდენჯერმე ვნახე, თავისნაირ კახპასთან ერთად სკვერში იჯდა და სიგარეტს ეწეოდაო. მეორე ქალის ვინაობა მან არ იცოდა, მაგრამ არ მგონია ქართველი ყოფილიყო, რუსულად სუფთად საუბრობდაო. არადა, უკრაინელი ქალი ამტკიცებდა, არავის ვიცნობ საქართველოშიო. ამიტომ, მასზე თვალთვალი დააწესეს და თან მისი პიროვნების შემოწმება დაიწყეს. როგორც გაირკვა, მისი სახელით საქართველოდან უკრაინაში არაერთი ათასი ირიცხებოდა კონკრეტული ადამიანის სახელზე. ქართულმა მხარემ იმ ადამიანის ფოტო და პირადი საქმე გამოითხოვა და რაოდენ გაოცებული დარჩა გამომძიებელი, როცა უკრაინიდან ჩამოსული მასალებიდან გარდაცვლილი ბიჭის დის ფოტო შესცქეროდა. იმავე დღეს, ოპერმუშაკებმა განაცხადეს, რომ უკრაინელი ქალი სწორედ გარდაცვლილის დას შეხვდა და ფოტოზე ის ბიჭის ყოფილმა საცოლემაც ამოიცნო.

ძალოვნებმა ორივე ქალი დააკავეს. საბუთებით მართლაც დადასტურდა, რომ გარდაცვლილი ბიჭის დას სახელი და გვარი ჰქონდა შეცვლილი და უკრაინაშიც ფულის მოსახსნელად სამჯერ იმყოფებოდა. მისი ბინის ჩხრეკისას სწორედ ის საძილე საშუალება იქნა ამოღებული, რომელიც ექსპერტებმა ბიჭის სისხლში იპოვეს. ქართველი ძალოვნები უკრაინელ ქალბატონს შეპირდნენ, თუ ითანამშრომლებ, სასჯელის მიღებიდან ერთ წელიწადში, სამშობლოში მოხდება შენი ექსტრადირება და იქაურ ციხეში იქნები, იქ კი დიდი შანსია, მალე გაგიშვანო.

„საქართველოზე მხოლოდ ის ვიცოდი, რომ ჩემი დაქალი იყო იქიდან. ჩვენ წლების მანძილზე ვმეგობრობდით. ის რუსეთში გავიცანი შემთხვევით, ვიღაც ტიპს ქმარს ეძახდა, მერე უკრაინაში წამოვედით, ჩემთან ვცხოვრობდით. თავს ხან რით ვირჩენდით, ხან – რით. ამას ქართული სახელი და გვარი ხელს ძალიან უშლიდა, ამიტომ შეიცვალა. ერთ დღეს, შემთხვევით, ქუჩაში ვიღაც ბიჭი დაინახა, მერე მითხრა, ჩემი ძმააო და მთხოვა, შეაბი, გაარკვიე, აქ რა უნდაო. მეც გავარკვიე, რომ სამკურნალოდ იყო და გეგმა ამის მერე შეიმუშავა ჩემმა დაქალმა. მე მას თავი მოვაწონე, მოვიფიქრე ლეგენდა, რომ შვილი მყავდა ზუსტად იგივე დიაგნოზით ავად, რომელსაც ვმკურნალობდი, ამას კი ბევრი ფული სჭირდებოდა და უკრაინაში შრომა მიჭირდა. მან საქართველოში წამიყვანა, პრაქტიკულად, მომვლელად დამიქირავა, მაგრამ ფულს საკმარისზე მეტს მაძლევდა ბავშვთან გასაგზავნად. „ბავშვი“ კი მისი და იყო, სწორედ მის ანგარიშზე ვრიცხავდი ფულს. არ ვიცი, საიდან ან რა გაიგო, მანამდე მისი და მშობლების ოჯახში დაბრუნდა, თითქოს ყველაფერი მოინანია, სინამდვილეში, ძმის სიკვდილის შემდეგ, ყველაფრის გადაფორმება და ისევ უკრაინაში დაბრუნება გვინდოდა. ჰოდა, ერთ დღეს, ის ბიჭი ორივეს ერთად დაგვადგა, თქვა, ყველაფერი ვიციო და დაჭერით დაგვემუქრა, ზუსტად ვიცოდი, რას სვამდა, როდის სვამდა, წყალს რომელი ბოთლიდან აყოლებდა (ონკანის წყალს ერიდებოდა) და მისმა დამ სწორედ წყალში გაურია აბები. მერე ერთად ჩამოვკიდეთ, მაგრამ მეუბნებოდა, უკვე მკვდარიაო, თორემ არ მივეხმარებოდი“, – განაცხადა უკრაინელმა.

სიმართლის გაგების შემდეგ, გარდაცვლილისა და იმავდროულად, მკვლელი შვილების მამამ სახელმწიფოსთან გარიგება დადო, რომლის მიხედვითაც, მისი სიკვდილის შემდეგ, ბინა სახელმწიფო საკუთრებაში გადადიოდა.

ბათო ჯაფარიძე

ალბათ, ბავშვობაში, ღამით, ყველას გვქონია შეგრძნება, რომ ოთახში ვიღაც არის, ვიღაც დადის და საბანში უფრო კარგად შევფუთულვართ. მერე და მერე ვხვდებით, რომ ოთახში არავინაა და ეს მხოლოდ ბავშვური შიშებია, მაგრამ თუ ზრდასრულ ასაკშიც გვგგონია, რომ ოთახში ვიღაც დადის, უკვე სერიოზული პრობლემაა. ამ დროს ან ექიმს უნდა მივაკითხოთ, ან – სამართალდამცავებს, მაგრამ როგორც წესი, სამართალდამცავები, ამ შემთხვევაში, ექიმისკენ მიგვითითებენ.

მოწამლული შოკოლადი

როგორ და რა შარში გაეხვა სტუდენტი გოგონა

„მეგობრის შვილი მოვიდა ჩემთან და მითხრა, რომ მის ოთახში, ღამით, ვიღაც დადიოდა. მას იმდენად შეეშინდა, რომ ლოგინიდან ვერც ადგა, მაგრამ კარგად ესმოდა, როგორ გადაადგილდებოდა ვიღაც ჯერ სამზარეულოში, მერე როგორ შევიდა მისი ერთოთახიანი ბინის ერთადერთ ოთახში და ძალიან ფრთხილად რაღაცას ეძებდა. გოგონა მიმტკიცებდა, ქურდი არ იყო, რადგან სანამ დავწვებოდი, ოქროს საყურეები, ოქროს ყელსაბამი და ოქროს საათი მოვიხსენი და მაგიდაზე, ლარნაკში ჩავყარე, მთვარის შუქზე ისე ბრჭყვიალებდა, გამორიცხული იყო, დაუპატიჟებელ სტუმარს არ დაენახა, მაგრამ სხვა რამეს ეძებდა და წარმოდგენა არ მაქვს, რას, ყველაზე ძვირფასი სწორედ ის ნივთები მაქვს, რომლებიც ჩამოვთვალეო“, – გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

რა თქმა უნდა, გამოცდილ გამომძიებელსაც თავიდან ეგონა, რომ 23 წლის გოგონა უბრალოდ შეშინდა, ღამით რაღაც მოეჩვენა, მაგრამ მამამისთან მეგობრობდა, ამიტომ საქმისთვის სერიოზული სახე რომ მიეცა, გოგონას სახლში გაჰყვა, იქაურობა დაათვალიერა, მაგრამ ხელჩასაჭიდი ვერაფერი იპოვა და დაჰპირდა, დღეს თუ არა ხვალ ექსპერტს გამოვუშვებ, რომელიც საკეტს შეამოწმებს, გასაღების გარდა, სხვა რამითაც ხომ არ არის გაღებულიო. ეს იყო და, ბატონ თენგიზს ისტორია დაავიწყდა კიდეც, მაგრამ დავიწყების შესაძლებლობა გოგონამ არ მისცა – მან აღელვებულმა დაურეკა და არეულად უამბო, როგორ დაესხნენ თავს ქუჩაში, როგორ წაართვეს ჩანთა და...

„მოკლედ, ჩემი მეგობრის შვილს, ქუჩაში თავს დაესხნენ, ერთი დარტყმით დაბლა დააგდეს, ჩანთა გამოგლიჯეს და იქვე ამოაპირქვავეს. ხელი არაფრისთვის უხლიათ, გოგონა კი ამტკიცებდა, შემთხვევითმა გამვლელმა მიშველა და იმიტომო, მაგრამ ამის ნაკლებად მჯეროდა – ფულისთვის ხელის დავლებას და გაქცევას არაფერი უნდოდა, თავდამსხმელი კი, უბრალოდ, გაიქცა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

მან დაკითხვაზე გოგონაც დაიბარა და მისი მხსნელიც. როგორც გაირკვა, შემთხვევით გამოჩენილი ახალგაზრდა რაინდი 25 წლის მოჭიდავე იყო, საკმაოდ კარგ ფიზიკურ ფორმაში და დანანებით ამბობდა, თავდამსხმელი ხელიდან გამისხლტა, თორემ რომ ჩამევლო, მერე შანსი არ ექნებოდაო. მართლაც, ორივემ დაადასტურა, რომ თავდამსხმელმა ჩანთა გახსნა, იქვე ამოაპირქვავა, გადაქექა და გაიქცა ანუ ის რაღაცას ეძებდა და სულ არ აინტერესებდა, იყო თუ არა ჩანთაში სხვა რამე ღირებული. ახლა გამომძიებელი მიხვდა, რომ მისი მეგობრის შვილს არც ღამის სტუმარი მოსჩვენებია და დაკითხვაზე უკვე მეგობარი დაიბარა, აინტერესებდა, შემთხვევით, ხომ არ მისცა მან გოგონას რამე ისეთი, ძველებური ნივთი, რაზეც შეიძლებოდა, კრიმინალებს ენადირათ და რაზეც, შეიძლება, მის მეგობარს წარმოდგენაც კი არ ჰქონდა.

„არა, რას ამბობ, რა ნივთი? არც მინდოდა, ჩემი შვილი ცალკე წასულიყო, მაგრამ დამოუკიდებლად უნდა ვიცხოვროო. სამედიცინოზე სწავლობს, ვიღაც ქალსაც უვლის, საღამოობით მიდის ხოლმე და უვლის. წარმოდგენა არ მაქვს, ვის შეიძლება დააინტერესოს მისი ნივთები“, – განაცხადა მეგობარმა და ამის მიუხედავად, გამომძიებელი გოგონას ბინაში ექსპერტებთან ერთად წავიდა, მეტალის საძებნელი აპარატიც წაიღო, ყველა კედელი შეამოწმეს, იატაკიც შეამოწმეს, ნივთები ანტიკვარიატის მცოდნეებს დაათვალიერებინეს და ყველა ერთხმად შეთანხმდა, რომ სახლში არაფერი იყო ისეთი, რის გამოც ასეთი რისკის გაწევა ღირდა. გამომძიებელმა გადაწყვიტა, გოგონასთვის ერთი ოპერმუშაკი მიეჩინა, გვერდიდან რომ არ მოშორებოდა და მის უსაფრთხოება დაეცვა, მაგრამ გოგონამ დაამშვიდა, არ მინდა გამცილებელი, ის მოჭიდავე გამაცილებს ხოლმეო. როცა ეს თქვა, გაწითლდა და თავი დახარა. როგორც ჩანს, ახალგაზრდებს ერთმანეთი მოეწონათ და არც გამომძიებელს ჰქონდა ამის საწინააღმდეგო რამე, მაგრამ ისე, რომ გოგონამ არ იცოდა, ერთი ოპერმუშაკი მაინც აადევნა, აქაოდა, ოპერატიული თვალი მაინც სხვაა, უთვალთვალე და ეგებ, საეჭვო ვინმე შენიშნო, რა იცი, რა ხდებაო.

3-4 დღე ოპერმუშაკი ამაოდ დასდევდა წყვილს. ბიჭი გოგონას ჯერ ინსტიტუტში აცილებდა, შემდეგ იქვე ხვდებოდა, სამსახურამდე აცილებდა, ელოდებოდა და მერე სახლში მიჰყავდა. ბიჭი სახლში ადიოდა, გვიანობამდე რჩებოდა და მერე შინ მიდიოდა. მეორე დღესაც იგივე განმეორდა. ამის შემდეგ, გამომძიებელმა გადაწყვიტა, გოგონას სახლში სათვალთვალო კამერა დაეყენებინა, არსებობდა ვარაუდი, რომ მის არყოფნაში, ღამის სტუმარი, შესაძლოა, ისევ მისულიყო და ბინა კიდევ ერთხელ დაეთვალიერებინა. რა თქმა უნდა, ამის შესახებ არც გოგონას უთხრეს რამე და არც მის კავალერს, კარი ექსპერტმა გახსნა, კამერა დამალეს და ორი დღის შემდეგ, ისევ აიღეს.

„ყველაზე საინტერესო სწორედ კამერის ჩანაწერებში ვნახეთ. მაშინ ის პერიოდი იყო, პატარა კამერების პრობლემა რომ არ იყო, მაგრამ პირდაპირ ეთერს ვერ გააკეთებდი, კამერას უნდა ჩაეწერა და მერე ეს ჩანაწერი გენახა. ჰოდა, ვნახეთ, რომ როცა გოგონა სამზარეულოში გადიოდა, მაგალითად, ჩაის ან ყავის მოსატანად, მისი კავალერი მაშინვე წამოხტებოდა ხოლმე და კარადებში რაღაცას ეძებდა, ცდილობდა, არაფერი აერია, ხოლო როცა ნაბიჯების ხმას გაიგებდა, მაშინვე სავარძელში ბრუნდებოდა. გამოდიოდა, რომ ჩვენი მოჭიდავეც საქმეში იყო და შესაბამისად, გოგო მის გვერდით საფრთხეში გახლდათ“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

მოჭიდავე გამოკითხვაზე დაიბარეს, აქაოდა, თავდამსხმელის ფოტორობოტი გვაქვს და თუ ამოიცნობო. ისიც „ბეყესავით“ მივიდა და მიხვდა, რომ სხვა რამის გამო გახლდათ დაბარებული. მას მარტივი ულტიმატუმი წაუყენეს – ან ყველაფერს მოყვებოდა, ან კამერის ჩანაწერები საკმარისი იყო, მისთვის ბრალის წასაყენებლად. მოჭიდავემ დაიწყო:

„სამწუხაროდ, კარტის თამაში მიყვარს. ერთ-ერთ პიროვნებასთან დიდი ფული წავაგე, ვალს ვერ ვისტუმრებდი და მან ასეთი რამ შემომთავაზა – ქუჩაში გოგონას ძარცვის მცდელობა იქნება, შენ რაინდად გამოჩნდები, მერე იმ გოგოს სიყვარულში გამოუტყდები და მის სახლში შოკოლადის ფილას იპოვნიო. ჰო, შოკოლადის ფილას, გარედან წითელი ვარდები ახატია, ეგ ფილა უნდა მეპოვნა, არ ვიცი, რად უნდოდა და რისთვის, ახლაც არ ვიცი, მაგრამ მაგისთვის დამიქირავა. ბინის ქურდიც მაგისთვის დაიქირავა, მაგრამ ვერც მან იპოვა. ვერც მე ვიპოვე და რატომ არის ასეთი ძვირფასი შოკოლადის ფილა, წარმოდგენა არ მაქვს“...

როცა მან შემკვეთი დაასახელა, სამართალდამცავებმა ვერაფრით გაიხსენეს, ვინ იყო ის, მაგრამ გოგონას ჰკითხეს, ასეთ ვინმეს ხომ არ იცნობო და მანაც ღიმილით თქვა, იმ ქალის ქმარია, რომელსაც მე ვუვლიო. ეს უკვე საინტერესო იყო და გოგონა უფრო დეტალურად გამოჰკითხეს.

„ააა... ის შოკოლადის ფილა? ჰო, იმ ქალმა მომცა, ლოგინად რომ არის ჩავარდნილი, ძალიან კი დაენანა, თავადაც უყვარს შოკოლადი, მაგრამ ბევრი არ შეიძლებაო და მე მაჩუქა. მე კიდევ დიეტაზე ვარ, წონაში მოვიმატე და ის ფილა იმ დღესვე, ჩემს ქვემოთ რომ მოხუცი კაცი ცხოვრობს, იმას ვაჩუქე. აი, იმან რა უქნა, შეჭამა თუ შეინახა, ნამდვილად არ ვიცი“, – თქვა გოგონამ.

სამართალდამცავები მაშინვე მოხუცთან წავიდნენ, ის სახლში იყო და როცა შოკოლადის ფილაზე ჰკითხეს, გაოცებისგან პირი დააღო. დაადასტურა, მეზობელმა გოგონამ მაჩუქა და ჩემი ცოლი საავადმყოფოშია, რომ გამოწერენ, მერე გავხსნი, ერთად უნდა შევჭამოთ, მარტო ყელში არ გადამივაო. ფილა ექსპერტიზაზე წაიღეს, რამაც მოხუცი აშკარად გაანაწყენა.

„შოკოლადი სპეციალური შხამით არის გაჯერებული. ეს შხამი ძნელი საშოვნელია, ჩემი აზრით, შეუძლებელიც. ადამიანის ორგანიზმში მოხვედრიდან 12 საათის შემდეგ უკვალოდ ქრება. დოზა მომაკვდინებელია“, – ეწერა ექსპერტიზის დასკვნაში.

სამართალდამცავებმა მამაკაცი დააკავეს, რომელსაც სხვა გზა არ ჰქონდა, ალაპარაკდა.

„რაც გამაჩნია, ყველაფერი სიმამრის წყალობით და ყველაფერი ცოლის სახელზეა. ოთხი წელია, ლოგინადაა ჩავარდნილი და ექიმები ამბობენ, რომ გამოჯანმრთელების შანსი არ აქვს. მე კი ცხოვრება მწყურია და მამამისი ყველაფერს აკეთებდა, მისთვის სიცოცხლე რომ გაეხანგრძლივებინა. ექიმებმა მითხრეს, შესაძლოა, ასე 20-30 წელიც იყოსო და მოქმედება დავიწყე. შოკოლადი ძალიან უყვარს, ამ შოკოლადის ფილაში ოროთახიანი ბინის ფული გადავიხადე და ჩემმა ცოლმა მაინცდამაინც ეს ფილა აჩუქა მომვლელს. არ მინდოდა, მას ეჭამა და არც ის მინდოდა, მეორედ მეყიდა და ასეთი ფასი გადამეხადა. საბოლოოდ, ისე გამოვიდა, რომ შკოლადი გაქრა და ვერ ვიპოვეთ“, – განაცხადა დაკავებულმა.

მკვლელობის მცდელობისთვის მას სულ რაღაც 5 წელი მისცეს, სანამ სასამართლო მიდიოდა, სიმამრმა განქორწინების ორგანიზება მოახერხა და ციხიდან გათავისუფლების შემდეგ, მის ყოფილ სიძეს ღამის გასათევის პრობლემაც კი ჰქონდა.

7-8 მარტის აქციებზე დაზარალებულმა პოლიციელებმა საქართველოს პრეზიდენტს ლაზარე გრიგორიადისის შეწყალებისგან თავის შეკავების თაობაზე განცხადებით მიმართეს

7-8 მარტის აქციებზე დაზარალებულმა პოლიციელებმა, სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის მხარდაჭერით, ლაზარე გრიგორიადისის შეწყალებისგან თავის შეკავების თაობაზე, საქართველოს პრეზიდენტს განცხადებით მიმართეს.

მიმართვის ავტორები არიან ის სამართალდამცველები, რომლებმაც 2023 წლის 7-8 მარტის აქციების მიმდინარეობისას, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, სხეულის სხვადასხვა მძიმე დაზიანება მიიღეს, მათ შორის, ცეცხლის წაკიდებით.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, სამართალდამცველებმა პრეზიდენტისთვის მიმართვის გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეს, რაც არაერთხელ გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ლაზარე გრიგორიადისის ოჯახის წევრებმა და უფლებადამცველებმა, მისი შეწყალების თხოვნით, სალომე ზურაბიშვილს მიმართეს.

დაზარალებული პოლიციელები მიიჩნევენ, რომ პრეზიდენტის მიერ, მათზე თავდამსხმელი პირის შეწყალება საზოგადოებაში გააჩენს განცდას, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დამცველებზე თავდასხმა დაუსჯელი დარჩება.

სამართალდამცველები აღნიშნავენ, რომ შესაძლოა შეწყალება ეხებოდეს ლაზარე გრიგორიადისის მიერ ოჯახის წევრის მიმართ განხორციელებულ ძალადობის ფაქტს, თუმცა ისინი თვლიან, რომ ეს არ იქნება რიგითი შეწყალება მსგავსი დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ, არამედ, იქნება გზავნილი საზოგადოებისთვის, რომ სახელმწიფო პოლიტიკა პოლიციელზე თავდასხმის, ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის ფაქტების მიმართ არის ლოიალური.

აღნიშნული ქმედება ეჭვქვეშ დააყენებს ასეთი კატეგორიის დანაშაულებთან ბრძოლის ეფექტიანობასა და სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ გაწეულ ძალისხმევას.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები, მიმართვის ერთ-ერთ საფუძვლად ასახელებენ იმ გარემოებასაც, რომ 2019 წელს, საქართველოს პრეზიდენტმა 22 წლის პოლიციელის, თარაშ მუკბანიანის მკვლელობაში მსჯავრდებული პირი შეიწყალა, რომელსაც სასამართლოს მიერ, 12 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი და საპატიმრო დაწესებულება 5 წელიწადში დატოვა.

სასაზღვრო პოლიციის უფროსი და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი მონაწილეობდნენ Frontex-ის მმართველი საბჭოსა და ევროკავშირის გაწევრიანების წინა ეტაპზე მყოფი პარტნიორების შეხვედრაში

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის უფროსი ნიკოლოზ შარაძე და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი ვაჟა სირაძე მონაწილეობდნენ ვარშავაში გამართულ მაღალი დონის შეხვედრაში, ევროკავშირის გაწევრიანების წინა ეტაპზე მყოფ პარტნიორი ქვეყნების საზღვრის მართვის სამსახურების ხელმძღვანელებსა და ევროკავშირის საზღვრისა და სანაპირო დაცვის სააგენტოს (Frontex) მმართველ საბჭოს შორის.

ვიზიტის ფარგლებში, სამინისტროს წარმომადგენლებმა ორმხრივი შეხვედრა გამართეს Frontex-ის აღმასრულებელ დირექტორ ჰანს ლეიტენსთან. მხარეებმა, თანამშრომლობის აქტუალური საკითხები განიხილეს და მზაობა გამოთქვეს თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავების შესახებ.

საქართველო, როგორც ევროკავშირში გაწევრიანების წინა ეტაპზე მყოფი ქვეყანა, ევროკავშირის პარტნიორ სხვა ქვეყნებთან ერთად პირველად მონაწილეობს ასეთი ფორმატის შეხვედრაში.

მხარეებმა განიხილეს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა: საზღვრის ინტეგრირებული მართვის კუთხით რეგიონში არსებული მდგომარეობა, Frontex-სა და პარტნიორ ქვეყნებს შორის სტატუს შეთანხმებების განხორციელების, დაბრუნებისა და რეადმისიის საკითხები. შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა ხაზი გაუსვეს Frontex-სა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის არსებულ თანამშრომლობას, მათ შორის, საქართველოს მიერ ევროკავშირთან რეადმისიის შესახებ შეთანხმების განხორციელების წარმატებულ პრაქტიკას.

112-ის საჯარიმო ავტოსადგომებზე მოქალაქეთა მომსახურების ცენტრები გაიხსნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის საჯარიმო ავტოსადგომებზე, მოქალაქეთა მომსახურების ცენტრები გაიხსნა.

მომსახურების ცენტრებში მოქალაქეებს საშუალება ექნებათ, კომფორტულ გარემოში, „ერთი ფანჯრის“ პრინციპით მიიღონ სხვადასხვა სახის მომსახურება, კერძოდ, ავტოსატრანსპორტო საშუალების საჯარიმო სადგომზე გადაყვანისა და დგომის საფასურის დადგენა/გადახდა, ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის დავალიანების შესახებ ცნობის მიღება და ავტოსატრანსპორტო საშუალების საჯარიმო სადგომიდან გაყვანისთვის სხვა საჭირო პროცედურების განხორციელება.

მოქალაქეთა მომსახურების ცენტრები თბილისში, ორ ლოკაციაზე გაიხსნა და „112“-ის საჯარიმო ავტოსადგომების მიმდებარე ტერიტორიაზე იმუშავებს.

„112“-ში ევაკუატორით გადაადგილების სერვისი 2014 წელს დაინერგა. აღნიშნული სერვისის დანერგვის მთავარ მიზანს ადმინისტრაციული დარღვევებისა და სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების დროს, დროებით ჩამორთმეული ავტოსატრანსპორტო საშუალებების საჯარიმო სადგომზე დროული და უსაფრთხო გადაყვანა/განთავსება წარმოადგენს.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე საბერძნეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს შეხვდა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძემ, საბერძნეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან, მარია თეოდორუსთან შეხვედრა გამართა.

მარია თეოდორუმ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს, საბერძნეთის რესპუბლიკის თავდაცვის ახალი ატაშე სტეფანოს ლიკოპილოსი წარუდგინა, რომელიც საქართველოში საქმიანობას ახლახანს შეუდგა.

ალექსანდრე დარახველიძემ საბერძნეთის რესპუბლიკის თავდაცვის ატაშეს თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა და მომავალ საქმიანობაში წარმატება უსურვა. შეხვედრის ფარგლებში, მხარეებმა ორ ქვეყანას შორის სამართალდაცვით სფეროში არსებულ ნაყოფიერ თანამშრომლობასა და სამომავლო ურთიერთობის გაღრმავებაზე ისაუბრეს. მათ ასევე განიხილეს არსებული პერსპექტივები და მზადყოფნა გამოხატეს აქტიურად განაგრძონ თანამშრომლობა მომავალში სხვადასხვა მიმართულებით.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა NATO-ს საზღვაო უსაფრთხოების ოპერაციაში – „ზღვის მცველი“ ფარგლებში, საბერძნეთის საზღვაო ძალების ხომალდებზე საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის მოსამსახურეების განთავსების მნიშვნელობაზე.

შეხვედრის დასასრულს, ალექსანდრე დარახველიძემ მადლიერება გამოხატა საბერძნეთის რესპუბლიკის მიმართ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მუდმივი მხარდაჭერისა და შესაძლებლობების გაძლიერებაში შეტანილი წვლილისთვის.

ადამიანური შეცდომა თუ უბრალო დაუდევრობა?! – კვარაცხელია პლეი-ოფის პირველ შეხვედრაში ვერ დაგვეხმარება

მარტში, საქართველოს საფეხბურთ ნაკრებს ორი უმნიშვნელოვანესი შეხვედრა ელის. იმედია ორი, რადგან ერთა-ლიგის პლეი-ოფები ერთმატჩიანია და მეორე შანსი არ გვექნება. შეიძლება ითქვას, რომ წილისყრამ კი არ გაგვიღიმა, არამედ გულიანად გაგვიცინა, რადგან ორივე შეხვედრას საკუთარ მოედანზე ვთამაშობთ ანუ გულშემატკივრისა და შინაური კედლების ფაქტორი ჩვენს მხარეს იქნება.

უფრო გასაგებად რომ ავხსნათ, ევროპის 2024 წლის ფინალური ეტაპის ერთი საგზურისთვის ოთხი ნაკრები იბრძოლებს – საქართველო, საბერძნეთ ლუქსემბურგი და ყაზახეთი. ერთმატჩიან დუელში, საქართველო ლუქსემბურგს უმასპინძლებს, საბერძნეთი – ყაზახეთს და ამ წყვილში გამარჯვებული, ერთმანეთში გაარკვევს საგზურის მფლობელისს ვინაობას. თუ საქართველო ლუქსემბურგის ბარიერს დაძლევს, უდიდესი ალბათობით, თბილისი საბერძნეთს უმასპინძლებს, რადგან ძნელად სავარაუდოა, საკუთარ მოედანზე, ბერძნებმა ყაზახებთან შეხვედრა დათმონ.

ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ ცუდი ის არის, რომ პირველ შეხვედრაში ანუ ლუქსემბურგთან მატჩში, ნაკრების ლიდერი, ხვიჩა კვარაცხელია ვერ დაგვეხმარება. მან ჯერ შოტლანდიასთან, შემდეგ კი ესპანეთთან არაფრისმომცემ შეხვედრებში ყვითელი ბარათები მიიღო, ერთი მანამდე ჰქონდა მიღებული და უეფას დებულების თანახმად, სამი ყვითელი ბარათის მიღების შემთხვევაში, ფეხბურთელი უეფას ეგიდით გამართულ მომდევნო სანაკრებო შეხვედრას ტოვებს. მომდევნო კი, სწორედ პლეი-ოფის მატჩია. წესითა და რიგით, ფედერაციას ეს უნდა სცოდნოდა, ხვიჩას უნდა მოფრთხილებოდა და ელემენტარულად, შოტლანდიასთან მიღებული ბარათის შემდეგ, ესპანეთთან ან საერთოდ არ უნდა გაეყვანა მინდორზე, ან უნდა გაეფრთხილებინა, რომ ყვითელი ბარათი არ მიეღო. ხვიჩამ კი იცოდა, რომ ბარათები უქმდებოდა და პლეი-ოფის შეხვედრებში ისინი არ გადაჰყვებოდა, ამიტომ ესპანეთთანაც თამამად ითამაშა, მსაჯსაც თამამად ეკამათა და არბიტრმაც ყვითელი არ „დაამადლა“. მხოლოდ მერე გაირკვა, რომ ეს საბედისწერო ყვითელი იყო და... მერე გაირკვა ისიც, რომ იმავე საშიშროების წინაშე, ნაკრების კიდევ ორი ლიდერი – გიორგი ქოჩორაშვილი და გიორგი ჩაკვეტაძეც იდგნენ, თუმცა საბედნიეროდ, გადარჩნენ.

„ერთი კაცის მიერ დაშვებულ იქნა ადამიანური შეცდომა. პასუხისმგებლობას ჩემს თავზე ვიღებ და მჯერა, ოცნებას ყველა ერთად, ხვიჩასთან ერთად ავისრულებთ“, – განაცხადა ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა, ალექსანდრე იაშვილმა.

პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღო სფფ-ის პრეზიდენტმა, ლევან კობიაშვილმაც ანუ მანაც თქვა, ჩემს თავზე ვიღებო, რეალურად კი, რაში გამოიხატება პასუხისმგებლობის თავზე აღება, ვერ ვხვდებით. მთავარი დამნაშავე, ნაკრების მენეჯერი, გიორგი კაციტაძე ყოფილა, რომელმაც ოფიციალური განცხადება გააკეთა და ყველაფერი ახსნა.

„პირველ რიგში, ბოდიშს ვუხდი გულშემატკივარს ჩემი შეცდომისთვის და არ შემეძლო, პირადად არ მეთქვა ეს საჯაროდ. 2011 წლიდან დღემდე, რაც ეროვნული გუნდების სტრუქტურაში ვმუშაობ, პირველად და ყველაზე მნიშვნელოვან დროს დავუშვი ისეთი შეცდომა, რის გამოც თავს საშინლად ვგრძნობ და რეალობის მიღება ახლაც მიჭირს. იმდენად დარწმუნებული ვიყავი იმაში, რომ ჯგუფური ეტაპის ბარათები უქმდებოდა, რომ ყველა ჩემს სისწორეში დავარწმუნე. არადა, არაერთხელ მკითხეს, თავის დაზღვევის მიზნით, რეგულაციის აღნიშნული პუნქტები უბრალოდ არ გადავამოწმე და ნაკრების მწვრთნელ-ფეხბურთელები შეცდომაში შევიყვანე. იმ მიზეზით, რომ ამ მნიშვნელოვან დროს, გუნდში არსებულ ერთიანობას ზიანი არ მიადგეს, საერთო გადაწყვეტილებით, გუნდთან ერთად ვრჩები. მზად ვარ, რომ ჩვენს გუნდს მარტის მატჩებში გვერდით დავუდგე და საერთო მიზნის მიღწევაში ჩემი წვლილი შევიტანო, ამით ვეცადო იმ შეცდომის გამოსწორებას, რითაც ჩემი ქვეყნის ნაკრები დავაზარალე“, – განაცხადა კაციტაძემ.

აბა, როგორ არ გავიხსენოთ ის, რომ ევროპის ჩემპიონატზე გასვლის შანსი ერთა ლიგის გავლით, მაკედონიასთან შეხვედრის დროსაც გვქონდა, მაგრამ მაშინ, ზედ შეხვედრის წინ, კვარაცხელიას კორონა-ვირუსი დაუდგინდა და ის შეხვედრა საკუთარ მოედანზე დავთმეთ, ევროპაზე მაკედონიამ ითამაშა. ახლა კი, ჯერ ლუქსემბურგის ბარიერი გვაქვს დასაძლევი, მერე კი – საბერძნეთი-ყაზახეთს შორის უძლიერესის. ხვიჩასთან ერთად და მის გარეშე, ჩვენი ნაკრები ორი სხვადასხვა გუნდი რომ არის, ცხადია და თუ ლუქსემბურგის ბარიერს ვერ გავივლით... პასუხისმგებლობის აღება გადადგომას ნიშნავს, ბატონებო!

ბაზაძე მსოფლიოში საუკეთესოა

ეგვიპტის ქალაქ შარმ-ელ-შეიხში, ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი გაიმართა, რომელზეც ჩვენთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები იქნა მიღებული. პირველად მოხდა, რომ მსოფლიოს საუკეთესო მოფარიკავედ ჩვენებური სანდრო ბაზაძე დაასახელეს და მას შესაბამისი ჯილდო საზეიმოდ გადაეცა.

ამას გარდა, კონგრესზე არანაკლებ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იქნა მიღებული – 2025 წლის მსოფლიოს ჩემპიონატს საქართველო უმასპინძლებს. მომდევნო ორი წელი ჩვენს ქვეყანას, სწორედ ტურნირის ორგანიზებისთვის მისცეს. გადაწყვეტილება ლამის ერთსულოვანი იყო, რადგან 134 დელეგატიდან, საქართველოს მხარი 120-მა დაუჭირა.

ფედერაციამ კლუბებს ფული მოპარა?! – ბათუმის „დინამო“ საქართველოს ჩემპიონია

საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურით ადრე, ბათუმის „დინამომ“ უახლოეს მდევარს რვა ქულით გაასწრო და ჩემპიონის ტიტული ვადაზე ადრე გაინაღდა. ზღვისპირელები საქართველოს ჩემპიონები მეორედ გახდნენ და გაისად, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე, საქართველოს ღირსებას დაიცავენ. იმედი გვაქვს, ახლა მაინც, აჭარლები მოახერხებენ და ლიგის ჯგუფურ ეტაპზე თუ არა, კონფერენს-ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მაინც მოახერხებენ გასვლას, თორემ საქართველოს ჩემპიონატიცა და ჩემპიონობაც, უკვე აზრს კარგავს.

გასულ სეზონში, ევროთასებზე, საქართველოდან იმავე ბათუმის „დინამომ“, გორის „დილამ“, ქუთაისის „ტორპედომ“ და თბილისის „დინამომ“ ითამაშეს. მართალია, ქართული კლუბები წარუმატებლად გამოვიდნენ, მაგრამ რამდენიმე ათეული ათასი ევრო უეფასგან მაინც ერგებოდათ. წესი ასეთია – უეფა ფულს ფედერაციას ურიცხავს, ფედერაცია კი – კლუბებს. ჰოდა, ახლა ირკვევა, რომ ქართულ კლუბებს ევროთასებზე გამომუშავებული თანხები არ მიუღიათ, თუმცა უეფას გადმორიცხული აქვს. რატომ? მიზეზი „მარტივია“ – ფედერაციას ფული თავად დასჭირდა, დახარჯა და კლუბებს დაპირდა, თქვენს მისაღებს დეკემბერში მიიღებთო. ერთი შეხედვით, აბსურდის თეატრია, მაგრამ ფედერაციის მესვეურები ამბობენ, წლების განმავლობაში, კლუბებს ჩვენი დავალიანება აქვთ, ხმას არ ვიღებთ და ახლა რამდენიმე თვე მათაც მოითმინონო...

იაკობიშვილი „ბარსელონას“ განაცხადში გამოჩნდა

ესპანეთის პრიმერა-დივიზიონის მე-14 ტურში, „ბარსელონა“ სტუმრად „რაიო ვალეკანოს“ დაუზავდა. აღნიშნულ შეხვედრაში, კატალონიურ გრანდს, რამის გამო, ძირითადი მეკარე, მარკ ანდრე ტერ შტეგენი ვერ დაეხმარა და კარს პენია იცავდა. სათადარიგო მეკარედ კი ხავი ერნანდესმა 19-წლამდელთა გუნდის 17 წლის კიპერი, აარონ იაკობიშვილი დაიმატა. მართალია, ის 90 წუთი სათადარიგოთა სკამზე იჯდა, მაგრამ 7 წლის ასაკში, ძირითადი გუნდის განაცხადში გამოჩენა ცოტას ნამდვილად არ ნიშნავს.

ცნობისთვის, იაკობიშვილი უნგრეთში გახლავთ დაბადებული და გაზრდილი. ჯერჯერობით, ამ ქვეყნის მოქალაქეა და ვერ გეტყვით, ფიქრობს თუ არა საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, მას ორმაგი მოქალაქეობა და ჩვენს ნაკრებში თამაში შესთავაზოს.

კვარაცხელიამ ახალი მწვრთნელი გოლით გაიცნო – საზონოვი ნიღბით ითამაშებს

იტალიის ჩემპიონატის მე-13 ტურში, ბერგამოს „ატალანტამ“ „ნაპოლის“ უმასპინძლა. სტუმრები ახალი მწვრთნელის, ვალტერ მაცარის ხელმძღვანელობით, პირველ შეხვედრას ატარებდნენ და რა თქმა უნდა, გვაინტერესებდა, რომელ პოზიციაზე ათამაშებდა ახალი თავკაცი ხვიჩა კვარაცხელიას. ამას გარდა, ჩვენებურსაც უნდა დაემტკიცებინა, რომ მასზე შემთხვევით არ საუბრობენ ამდენს და აკი მოახერხა კიდეც – შეხვედრის პირველი გოლი სწორედ ხვიჩას თავურის შედეგად გავიდა. ისე, იტალიურ კარიერაში, კვარაცხელიამ თავით მხოლოდ მეორედ გაიტანა. შეხვედრა კი სტუმართა გამარჯვებით დასრულდა და გუნდმა ამ მოგებით

ლიდერთა სამეულში შეაბიჯა. ცნობისთვის, იტალიურ მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აურელიო დე ლაურენტისი, კვარაცხელიას ხელშეკრულების გაგრძელებას იანვარში, 2029 წლამდე შესთავაზებს და ჯამაგირს 4.4 მილიონ ევრომდე გაუზრდის.

რადგან იტალიის პირველობაზე ვსაუბრობთ, გეტყვით, რომ „ტორინოსა“ და საქართველოს ნაკრების მცველმა, საბა საზონოვმა ცხვირზე ოპერაცია გაიკეთა და დამცავი ნიღბით ვარჯიშობს, ხოლო თუ მწვრთნელი მოდანზე შეუშვებს, იქაც დამცავი ნიღბით იქნება. როგორც ირკვევა, საბას ცხვირის ძვლის მოტეხილობა დაუდგინდა მას შემდეგ, რაც მან 16 ნოემბერს, საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებში იასპარეზა და ოპერაციის გაკეთბაც ამიტომ გადაწყდა.

მამალი რას ყივის

ეკაკი წერეთელი

ქვეყნის სიბრალულით გულავსებული მაცხოვარი მიბრძანდა ერთხელ ტბის პირად და მეთევზეები ნახა: ზოგი ახალ ბადესა ქსოვდა, ზოგი ძველს აკერებდა და ზოგიც მხარ-თეძოს იყო წამოწოლილი კიდეზე. გუნებაზე ვერ იყვნენ: მთელი ღამე ენადირათ და ვერა ეშოვათ რა! ხელი გადგომოდათ!.. – შეებრალა საწყლები ქრისტე-ღმერთს და ერთ მათგანს უბრძანა:

„სვიმონ-პეტრე! ადე, ზეზე, ეგ შენი ნავი ნაპირზე მოაყენე, ჩავსხდეთ და ტბაში შევცურეთო“.

მეთევზეს გაუკვირდა და ჰკითხა:

„პირველადა ვხედავთ ერთმანეთს და რა იცი, რომ მე სვიმონი მქვიაო?“

– „მაგას რა დიდი ცოდნა უნდაო?.. შენ სვიმონი გქვია და მამაშენს ივანეო... პეტრე კი მე დაგიძახე მეტსახელად, რადგანაც სიტყვა „პეტრე“ ქვას ნიშნავს და შენც ქვასავით მაგარი ხასიათის კაცი ხარო!“

შუაში რომ მივიდნენ, შეაჩერა ნავი და უბრძანა:

„აბა, აქ დაჰკარით ბადეო!“

– „რა ბრძანებაო, – უპასუხა მეთევზემ, – წუხელი აქ არ გახლდითო?.. გათენებამდის ჩვენ თვალს რული არ მოჰკიდებია, ბადეები დავგლიჯეთ და ეს ოხერი თევზი ისე გამწყვრალა, რომ ერთი ჭიჭყინა რა არის, ისიც ვერ ვიშოვეთო“.

– „ეგ შენი საქმე არ არის!.. შენ რჩევა დამიჯერე და მაშინ ნახავ, მოხვდება თუ არაო“.

მართლაც ჩაუშვეს წყალში თუ არა, ბადე გაიტენა თავამდი. მეთევზე ვეღარ მოერია, რომ გამოეთრია ბადე და ამხანაგებს დაუძახა:

„მიშველეთო!“

გამოიტანეს ნაპირზე სავსე ბადე და ორი ნავი აავსეს პირწმინდად ნანადირევით.

მეთევზეებს გაუკვირდათ:

ეს ვიღაც სასწაულთმოქმედი უნდა იყოსო და თაყვანი სცეს.

ქრისტემ გაიცინა ულვაშებში, – ვენაცვალე იმის სიცილს – და უთხრა: „რა ცოტაა, რომ გაგკვირვებიათო. წამომყევით და თევზებს კი არა, კაცებსაც ბევრს დაგაჭერინებთო“.

მეთევზეებს გაეხარდათ და მიაძახეს:

„გვიახლეთ, შენი ჭირიმეო“ და აედევნენ.

მასუკან, სადაც კი მიბრძანდებოდა მაცხოვარი, ისინიც თან დასდევდნენ. ბევრი სასწაულები ნახეს და შეუყვარდათ მოძღვარი. აღარ შორდებოდნენ!..

ვნებათა კვირა რომ დადგა, მოძღვარი მოწაფეებს გაენდო და უთხრა:

„ჩემი ტანჯვისა და სიკვდილის დღეც მოახლოვდაო. ერთი თქვენგანი გამყიდის – გამცემსო. მე რომ დამიჭერენ, თქვენც შეშინდებით და აქეთ-იქით გაიქცევით... გაიფანტებით, მაგრამ არაფერია, მე ამოვალ საფლავიდან და ისევე მოგიყრით თავს და შეგაერთებთო“.

პეტრემ უპასუხა:

– „რას ბრძანებო, ჩვენში მაგისთანა ვინ იქნება, რომ შეშინდეს და გაიქცესო?“

– „პირველი შენო!.. შენ ხომ პირდაპირი და გულმაგარი კაცი ხარ, შენც კი გადრკები და სანამ მამალი ორჯერ დაიყივლებდეს, სამჯერ უარმყოფო!“ – იმ ღამეს მართლა შეიპყრეს ქრისტე.

პეტრემ მახვილი ამოიღო და ყური ჩამოათალა მალხაზ ურიას. ქრისტემ დაუშალა პეტრეს ჩხუბი და ისევ გაუმრთელა ურიას ყური!..

– „ძალაზე თუ მივიდა საქმე, ცა და ქვეყანაც ვერ მომერევა, ჩემს ხელთ არისო, მაგრამ აქ სულ სხვა საქმეა და უნდა დავნებდეო“, – ბრძანა მოძღვარმა.

როცა შეიპყრეს და მღვდელმთავართან წაიყვანეს, მოწაფეები შეშინდნენ და გადაცვივდნენ. მხოლოდ ორი მათგანი აედევნა უკან და გაჰყვა: ივანე და პეტრე. სასახლეში რომ მივიდნენ, ივანე, როგორც კაი ნაცნობი, შეუშვეს სახლში, მაგრამ პეტრეს კი ბჭის კარი დაუკეტეს და გალავანს გარეთ დარჩა; შეეხვეწა მეკარეს: „მეც შემიშვიო“.

მაშინ მეკარემ ჰკითხა:

– „რა მოგარბენინებს, მაგისი მოწაფე ხომ არა ხარო?“

– „არაო!“ – უთხრა პეტრემ.

სანამ სასახლეში ქრისტეს ასამართლებდნენ, პეტრე ეზოში იცდიდა, ცეცხლის პირად იჯდა და თბებოდა. აქაც ვიღაცამ ჰკითხა:

„შენ, როგორც გეტყობა, მისი რამე უნდა იყოო?“

– „არაო! ვერც კი ვიცნობო!“ – ბოლოს, ქრისტე რომ გამოიყვანეს და მეორე მღვდელმთავართან წაიყვანეს, გაჰყვა.

ერთი ურია მივიდა და ჰკითხა:

„შენ ის არა ხარ, ჩემს ნათესავ კაცს, მალხაზს რომ ყური ჩამოათალეო?“ – შეეშინდა და უარზე დადგა. ამ დროს მამალმაც დაიყვირა:

„პეტრემ – უარყოო!“

მოაგონდა საბრალოს ქრისტეს სიტყვები და შემოიკრა თავში ხელი, ეს რა მომივიდაო...

დაიწყო ტირილი, გაიჭრა გიჟივით. აღარ იცოდა, რა ექნა. გარბის და მამლები კი მიჰყივიან:

„პეტრემ უარ-ყოო!“ „პეტრემ უარ-ყოო!“ „პეტრემ უარ-ყოო!“ – აღარ იცოდა, რა ექნა. თითქმის თავის მოკვლაც უნდოდა, მაგრამ ამ დროს ყვინჩილებმაც დაიძახეს:

„შე-ინა-ნაა!“ „შე-ინა-ნაა!“ „შე-ინა-ნა-ა!“-ო.

პეტრემ ყური მოჰკრა და გამოფხიზლდა. ჩანს, უპატიებია ღმერთს ჩემი შეცოდებაო!.. დაემხო პირქვე სათაყვანოდ. მას შემდეგ, ყოველ ღამ ბნელაში, მამლები დღესაც კიდევ იძახიან: „პეტრემ უარ-ყოო!“ მაგრამ, როცა ყვინჩილებიც დაიძახებენ ხოლმე: „შე-ინა-ნაოო“, თენდება და ქვეყანას ნათელი ეფინება.

კორეელებს საყვარელ დელიკატესს აუკრძალავენ

სამხრეთ კორეაში ახალ კანონპროექტზე მუშაობენ, რომლის მიხედვითაც, ქვეყანაში ასე საყვარელი „დელიკატესის“ – ძაღლის ხორცის მოხმარება აიკრძალება. როგორც The Washington Post-ი წერს, ეს აკრძალვა, შესაძლოა, წელსვე შევიდეს ძალაში. ახალი ინიციატივა ითვალისწინებს ძაღლების ფერმების ლიკვიდაციას სამი წლის განმავლობაში. ასევე, დაიხურება ყველა სავაჭრო წერტილი და რესტორნები, სადაც ძაღლის ხორცისგან დამზადებული კერძები იყიდება. თუ კანონპროექტს მიიღებენ, აკრძალვა ამ „დელიკატესზე“ ძალაში, წესით, 2027 წლიდან უნდა შევიდეს. მთავრობა მხარდაჭერას აღუთქვამს იმ ფერმერებს, მეხორცეებსა და სხვა მეწარმეებს, რომლებსაც ამ კანონის გამო, დახურვა ან გადაკვალიფიცირება ელით.

ვისკი რეკორდულ ფასად გაიყიდა

ლონდონში, Sotheby's-ის აუქციონზე შოტლანდიური ვისკის მარკის The Macallan-ის ბოთლი რეკოდულ ფასად – 2.1 მილიონ დოლარად გაიყიდა. აუქციონის ისტორიაში, ეს ალკოჰოლთან დაკავშირებული ყველაზე ძვრადღირებული გარიგებაა. ცნობილია, რომ 1986 წელს, ამ ბრენდის ვისკი, 60-წლიანი დაძველებით, სულ 40 ბოთლი ჩამოასხეს. ვაჭრობის წინ, ბოთლი ბრენდის ქარხანაში აღადგინეს. კერძოდ, სასმელზე შეცვალეს საცობი და წებოთი დაამაგრეს ეტიკეტის კუთხეები. ეტიკეტიც ცნობილი იტალიელი მხატვრის, ვალერიო ადამის შექმნილია.

ყველაზე სექსუალური მელოტი გამოავლინეს

გამოცემა Metro-ს ინფორმაციით, წლის ყველაზე სექსუალური მელოტი მამაკაცის ტიტული დიდი ბრიტანეთის პრინცს, უილიამს ეგრო. ყოველწლიურ რეიტინგს მარკეტინგული კომპანია Reboot ადგენს. სიის შედგენისას ის საძიებო კითხვების სიხშირეს დაეყრდნო, როდესაც ცნობილი მელოტი მამაკაცების სახელებთან ერთად, სიტყვებს – „შიშველი“ და „მაისურის გარეშე“ იყენებდნენ. აღმოჩნდა, რომ მომხმარებლების უმრავლესობას ასეთად პრინცი – ნისლიანი ალბიონიდან მიაჩნია. გასულ წელს, ამ რეიტინგის გამარჯვებული ამერიკელი მსახიობი, ვინ დიზელი გახდა.

გასუქების გამო ციხიდან გაუშვეს

იტალიელ მამაკაცს, დიმიტრიო ფრიკანოს სასჯელის სახით, 30-წლიანი პატიმრობა აქვს მისჯილი. მან თავისი შეყვარებული გოგონა, ერიკა სასტიკად მოკლა – ქალს დანით 57 ჭრილობა ჰქონდა მიყენებული. როცა ეს ფსიქოპათი მანიაკი დააკავეს და ციხეში ჩასვეს, ის 120 კილოგრამს იწონიდა. ერთი წლის განმავლობაში, იტალიურ ციხეში, მან 80 კილო მოიმატა. პენიტენციური დაწესებულების ექიმები გაოგნებულები არიან, თან აღსანიშნავია, რომ ფრიკანო თავგამოდებული მწეველია. ამ მკვლელის გამო, ცოტა ხნის წინ, სასამართლო კოლეგია კიდევ ერთხელ შეიკრიბა და ვერდიქტი გამოიტანა: მამაკაცს დახმარება სჭირდება, რაც სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შეუძლებელია. მკვლელს არ შეუძლია ციხეში დარჩეს, რადგან მისი სიმსუქნე და თამბაქოს გამუდმებული მოხმარება მას გარდაუვალი სიკვდილის რისკის ქვეშ აყენებს. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ფრიკანო ციხიდან გაუშვეს და მას შინაპატიმრობა მიუსაჯეს.

მესის მაისურებს მილიონებად გაყიდიან

არგენტინელი ფეხბურთელის, რვა „ოქროს ბურთის“ მფლობელის, ლიონელ მესის ექვსი მაისური, რომელიც მას ყატარში, 2022 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ეცვა, გასაყიდად აუქციონზეა გამოტანილი. ვაჭრობის ორგანიზატორები მათ გაყიდვას რეკორდულ თანხად გეგმავენ – მთლიანი კომპლექტის საორიენტაციო ფასი 10 მილიონ დოლარზე ნაკლები არ იქნება. დღესდღეობით, ყველაზე ძვირადღირებული სპორტული ნივთი, რაც კი აუქციონებზე გაყიდულა, ამერიკელი კალათბურთელის, აიკლ ჯორდანის მაისურია, რომელიც 10.091 მილიონ დოლარად გაიყიდა.

ნაპოლეონის ქუდი აუქციონზე გაიყიდა

აუქციონის სახლმა Osenat-მა, ფონტენბლოში, საფრანგეთის იმპერატორის, ნაპოლეონ ბონაპარტის ცნობილი ქუდის გაყიდვის შესახებ განაცხადა. ქუდი კოლექციონერ ჟან ლუი ნუაზიეს ეკუთვნოდა. ბონაპარტის სამკუთხა ქუდში მყიდველმა მილიონ 932 ათასი ევრო გადაიხადა. ნაპოლეინის ქუდებისთვის ეს რეკორდული ფასია. ბონაპარტის ქუდი 1810 წლით თარიღდება. თავდაპრველად, ექსპერტები ლოტის სავარაუდო ფასს 600-800 ათასს ასახელებდნენ, თუმცა შედეგმა მოლოდინს საგრძნობლად გადააჭარბა. ამ ეტაპზე, ნაპოლეონის ცნობილი ქუდის ახალი მფლობელის ვინაობა უცნობია.

ცელულიტს სამუდამოდ დაივიწყებთ

ამერიკულმა კომპანია Auxilium Pharmaceuticals-მა ახალი საშუალება შექმნა, რომელმაც ცელულიტი უნდა დაამარცხოს. პრეპარატმა უკვე გაიარა გამოცდა. შედეგებმა აჩვენა, რომ სიახლე მნიშვნელოვნად ამცირებს ცელულიტის გამოვლინებას და ამცირებს „ფორთოხლის ქერქის“ ეფექტსაც, რაც მანდილოსნებს ბარძაყებსა და დუნდულებზე უჩნდებათ. ტესტირებაში 18-დან 45 წლამდე 150 ქალი მონაწილეობდა. ყოველ მათგანს სამ ეტაპად უტარდებოდა თერაპია ახალი პრეპარატით – Xiaflex და პლაცებოთი. ყოველ ეტაპზე, ცელულიტიან ადგილებზე 12 ინექცია კეთდებოდა. მონაწილეთა 68% მეტად კმაყოფილი დარჩა მიღებული შედეგით. სიახლის მასობრივ გამოყენებამდე, წინ ჯერ კიდევ კლინიკური ცდების მეორე ფაზაა, რომელიც მომავალი წლიდან უნდა დაიწყოს.

ღიპი – მეხსიერების მტერი

ამერიკელმა სწავლულებმა რაშის უნივერსიტეტიდან დაადგინეს, რომ ადამიანებს, რომელთაც მუცლის არეში დიდი წონა აწუხებთ, დიდი ალბათობით, ასაკში მახსოვრობის პრობლემები ექნებათ. მკვლევართა თქმით, კუჭსა და ტვინში თავმოყრილია კონკრეტული პროტეინი. ის ტვინის იმ ნაწილის მუშაობისთვისაა აუცილებელი, რომელიც ადამიანის მახსოვრობაზეა პასუხისმგებელი. ეს პროტეინი აუცილებელია საჭმლის მონელებისთვისაც. წონის მომატების, განსაკუთრებით, მუცლის არეში ცხიმდაგროვების წარმოქმნისას, ეს პროტინი მცირდება და არა მხოლოდ მუცლის არეში, არამედ, მთელ ორგამოზმში. ამიტომ, ზედმეტი წონის მქონე ადამიანებს, დიდი ალბათობით, ასაკში მეხსიერების პრობლემები ექმნებათ – ასკვნიან სწავლულები.

კრაზანას შხამში დაუმარცხებელი ანტიბიოტიკია

მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის სპეციალისტებმა ახალი სახეობის ანტიბიოტიკი შეიმუშავეს. მის საფუძვლად სამხრეთამერიკული კრაზანების Polybia paulista შხამი, უფრო სწორად, მისი შეცვლილი პეპტიდები გამოიყენეს. ისინი კლავენ ბაქტერიებს და არ აზიანებენ უჯრედებს. როგორც თაგვებზე ჩატარებულმა ცდებმა აჩვენა, ყველაზე ძლიერი პეპტიდი გაუმკლავდა ბაქტერია Pseuodomonas Aeruginosa-ს, რომელიც მდგრადია უმრავლესობა ანტიბიოტიკის მიმართ. სწავლულები დიდი ხნის განმავლობაში არჩევდნენ და მოდიფიკაციას ახდენდნენ ყველაზე ძლიერი პეპტიდისა (ოთხ დღეში მთლიანად სპობდა ინფექციის კვალს), მაგრამ ჯერჯერობით კვლავ არ აქვთ მისი იდეალური ვერსია. მკვლევარებს მისი შეცვლა ისე სურთ, რომ მაქსიმალურად მცირე დოზების გამოყენება იყოს საკმარისი.

ტანსაცმელს ავოკადოთი ღებავენ

რესტორნების საერთაშორისო ქსელმა Chipotle, რომელიც მექსიკურ სამზარეულოზეა სპეციალიზებული, ეკოლოგიურად სუფთა ტანსაცმლის კოლექცია გამოუშვა. აღსანიშნავია, რომ ეს ტანსაცმელი ავოკადოს კურკებითაა შეღებილი. კომპანიის პრეს-რელიზის მიხედვით, ყოველწლიურად, მათ დაწესებულებებში 300 მილიონი ავოკადოს კურკა რჩება და მისი გადამუშავება გადაწყვიტეს. პროდუქციის ახალი ხაზი – Chipotle Goods მოიცავს მაისურებს, ჰუდებსა და ჩანთებს, რომლებიც ატმისფრადაა შეღებილი. ერთი ნივთის შესაღებად, დაახლოებით, ხუთი ავოკადოს კურკაა საჭირო. ახალ ხაზში სხვა პროდუქციაც შევიდა, რომლებიც ნატურალური საღებავის გარეშეა შეღებილი. ერთი ასეთი უნიკალური ნივთის ღირებულება 20-დან 45 დოლარამდეა.

კაფეში ლაპარაკი არ შეიძლება

ამომავალი მზის ქვეყანაში გაჩნდა „წყნარი კაფეს“ უნიკალური კონცეფცია, სადაც მომხმარებელს ლაპარაკი ეკრძალება. ეს უჩვეულო ადგილი შესანიშნავია იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც სრულ სიჩუმესა და სიმშვიდეში სურთ საჭმელ-სასმელის მირთმევით სიამოვნება. ამ „წყნარ კაფეში“ შეკვეთები ჟესტების ენის მეშვეობით მიიღება და კლიენტებსაც ურჩევენ, სრული სიჩუმე დაიცვან. დაესებულების თანამშრომლები აკონტროლებენ კაფეში დადგენილ წესებს და მომხმარებლებს უსიტყვოდ აფრთხილებენ.

ახალი ბიზნესი – საქორწინო ფოტოების განადგურება

ჩინეთის პროვინცია შანდუნში, საქორწინო ფოტოების განადგურების ბიზნესი წამოიწყეს. ალბათ, გაგიკვირდათ და ფიქრობთ, რომ ეს მხოლოდ ფოტოქაღალდია, რომლის დახევაც მარტივად შეიძლება, მაგრამ ძალიან ცდებით – ჩინელები, ტრადიციულად, უკვდავჰყოფენ ხოლმე საკუთარ ქორწილს არა მხოლოდ ფოტოებით, არამედ ნახატით – ტილოსა და აკრილის საღებავებით. ასეთი „სამახსოვროების“ არათუ ხელით დახევა, მისი დაწვაც კი ძნელია ხოლმე. მას ვერც ნაგავში გადააგდებთ, რადგან მეზობლები დაინახავენ და უხერხულია. ჰოდა, ერთმა გამჭრიახმა ბატონმა ბიზნესი მოიფიქრა განქორწინებული წყვილების დასახმარებლად, რათა არასასურველი სამახსოვროსგან გათავისუფლდნენ. პროცედურა ძალიან მარტივია: ყველაფერი სურათი-ნახატის ზომასა და მასალაზეა დამოკიდებული. გააგზავნით, თანხას გადაიხდით, ფირმის თანამშრომლები სურათზე სახეებს სპეციალური საღებავით ფარავენ და მას დასაქუცმაცებლად აგზავნიან. მთელ ამ პროცესს ვიდეოზე იღებენ და მტკიცებულების სახით, კლიენტებს უგზავნიან. რაც შეეხება საფასურს, ის დაახლოებით, 100 იუანიდან იწყება და დამოკიდებულია სურათის ზომაზე. როგორც გამჭრიახი ბიზნესმენი აცხადებს, მის სერვისზე დიდი მოთხოვნაა და შეკვეთებს ქვეყნის ყველა პროვინციიდან იღებს.

ვაშლის დარიგებისთვის დააჯარიმეს

ლონდონში დააჯარიმეს ქალბატონი, რომელმაც გადაწყვიტა, რომ საკუთარი ბაღის ვაშლები სხვებისთვისაც გაენაწილებინა. 33 წლის მედდამ ნაყოფი ორ მუყაოს კოლოფში მოკრიფა და გარეთ დადგა, წარწერით – „უფასო ვაშლი“. თუმცა, მოხდა ის, რასაც ბრიტანელი ყველაზე ნაკლებად ელოდა – 150 გირვანქა სტერლინგით დააჯარიმეს, რომელიც მას მუნიციპალურმა საბჭომ ნაგვის გაშლისთვის გამოუწერა. „ძალიან მეწყინა, რომ ქალაქის საბჭომ კეთილი საქმისთვის ასე დამაჯარიმა“, – დაწერა გულნატკენმა მედდამ სოციალურ ქსელში. მისი ისტორია გახმაურდა, ხალხმა ქალს მხარი დაუჭირა და მუნიციპალიტეტის მიმართ უკმაყოფილება გამოხატა. საბოლოოდ, მედდას ჯარიმა გაუუქმეს, ჩინოვნიკებმა კი მას ბოდიში მოუხადეს.

„ქალის მუხლები“ – ვაქცინა მარტოხელებისთვის

იაპონელი სწავლულების მიერ შექმნილი ბალიში-მუხლები, რომელსაც Himazakura ჰქვია, დღესაც, 20-ზე მეტი წლის შემდეგაც კი, საკმაოდ პოპულარულია ამომავალი მზის ქვეყანაში. ცნობილი ინტერნეტ-მაღაზიის Japan Trend Shop ვებ-გვერდზე, ის აღწერილია, როგორც რბილი და მოქნილი. ის შესანიშნავია იმისთვის, რომ მასზე თავი დადოთ. გაოცებული დარჩებით, რამდენად მოხერხებულია და რამდენად რეალისტურ შეგრძნებებს გჩუქნით. პოლიურეთანისგან დამზადებული ბალიში, რომელიც მუხლებზე დამჯდარი ქალის ფეხების იდენტურია, ისეთ სასიამოვნო შეგრძნებას გიტოვებთ, თითქოს თავს მუხლებზე საყვარელ მეუღლეს ან დედას ადებთ. კომპანია Trane Corporation-ის მიერ, 2000 წელს გამოშვებულ ბალიშს არეკლამებდნენ, როგორც „ვაქცინას მარტოობისგან“ და ის უმალ გახდა გაყიდვების ჰიტი მარტოხელა ადამიანებში, რომელიც დღესაც „ბესტსელერია“. ტოკიოსა და ნარიტას საერთაშორისო აეროპორტების Duty Free-ის თაროებიდანაც კი წამებში ქრება, სადაც მას ხშირად მეგობრებისთვის საჩუქრად ყიდულობენ.

დედამ გარდაცვლილი შვილის გული ამოიცნო

ეს უჩვეულო ისტორია დიდ ბრიტანეთში, ნიუკასლში მოხდა. ფრედა კარტერმა შეძლო საკუთარი შვილის გულის ამოცნობა, რომელიც უკვე წლებია, სხვა ადამიანის სხეულში ფეთქავდა. ფრედას შვილი, ჯონ კარტერი 2006 წელს, 33 წლის ასაკში გარდაიცვალა, მას თავის ტვინის სიმსივნე ჰქონდა. სიკვდილის წინ, ანდერძი დატოვა, რომ მისი ჯანმრთელი ორგანოები დონაციის მიზნით გამოეყენებინათ. გარკვეული დროის შემდეგ, კარტერების ოჯახს დაურეკეს და უთხრეს, რომ მათი შვილის გული ახლა ერთი მოზარდის, სკოტის სხეულში ფეთქავდა. მეტი ინფორმაციის მიწოდება კლინიკის თანამშრომლებს არ შეეძლოთ, რადგან საექიმო ეთიკით ეს აკრძალულია. რამდენიმე წლის შემდეგ, უცნობი მიზეზებით, ფრედამ გადაწყვიტა დონორების ხსოვნისადმი მიძღვნილ შეხვედრაზე პირველად წასულიყო და თან მეუღლეც გაიყოლა. იმ ადამიანების სიტყვით გამოსვლისას, რომლებმაც დონორების ორგანოები მიიღეს, დედა მიხვდა, რისთვის მივიდა იქ, რადგან როცა სკოტ რუტერფორდი გამოდიოდა, ფრედამ იგრძნო, რომ ეს სწორედ ის ახალგაზრდაა, რომელშიც მისი შვილის გული ცოცხლობდა.

შეხვედრის დასრულების შემდეგ, დედა სკოტს გაესაუბრა და დარწმუნდა, რომ არ შემცდარა. გაოგნებულმა ბიჭმა ფაქტის გადამოწმება გადაწყვიტა კლინიკაში, სადაც მას გული გადაუნერგეს. თანამშრომლებმა, თავადაც გაოგნებულებმა, ამჯერად წესები დაარღვიეს და სკოტს დაუდასტურეს, რომ სწორედ ჯონ კარტერის გულით ცოცხლობდა. ექიმი-ტრანსპლანტოლოგები ამბობენ, რომ ეს ლამის ერთეული შემთხვევაა. ჩვეულებრივ, დონორების ოჯახები არ ცდილობენ იმ ადამიანებთან შეხვედრას, რომლებსაც მათი შვილების ორგანოები გადაუნერგეს. თუმცა, კარტერები ამ „ტრადიციას“ არ ემორჩილებიან და სკოტთან და მის ოჯახთან საკმოდ ახლო და თბილი ურთიერთობები აქვთ.

ბუზს სახლი გადააყოლა

საფრანგეთში მცხოვრებმა მამაკაცმა, რომელიც ბუზის მოკვლას ცდილობდა, საკუთარი სახლის ნაწილი ააფეთქა. როგორც ადგილობრივი გამოცემა წერს, 80 წელს გადაცილებული მოხუცი ვახშმობას აპირებდა, როცა ის მწერის ბზუილმა შეაწუხა. მან ბუზის მოკვლა სპეციალური ელექტრონული მოწყობილობით სცადა, მაგრამ შემთხვევით, გაზის ბალონს მოარტყა, რომელიც თურმე ჟონავდა. შედეგად, გაზის ალონი აფეთქდა. ცნობილია, რომ მოხუცმა სახლიდან დროულად გამოსვლა მოახერხა და მხოლოდ ხელი დაიწვა. ბუზის ბედი უცნობია – წერენ მედიასაშუალებები.

კაცის მიმზიდველობა მის ხელებშია

ასეთი დასკვნა გაკეთეს ბრიტანელმა მეცნიერებმა. ფრანგ და შვეიცარიელ კოლეგებთან ერთად, ბრიტანელებმა გაარკვიეს, რომ ქალებთან წარმატების მეტი შანსი აქვთ ძლიერი სქესის იმ წარმომადგენლებს, რომელთა არათითიც საჩვენებელზე გაცილებით გრძელია. თითების სიგრძეთა ასეთი პროპორციის მქონე ქალები კი მამაკაცური ხასიათითა და აგრესიულობით გამოირჩევიან. რამდენადაც მცირეა ეს შეფარდება, იმდენად რბილია ადამიანის ხასიათი. სწავლულთა აზრით, ამ მოვლენის მიზეზი ორგანიზმში ტესტოსტერონის შემცველობაა, რომელიც გავლენას ახდენს ადამიანის გარეგნობაზე მთლიანად, კერძოდ კი, ხელის მტევნის ძვლების პროპორციაზე, სახის ნაკვთებსა და წყობაზე. სტირლინგის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა გაარკვიეს, რომ არათითის სიგრძე წარმატებას „განაპირობებს“ არა მხოლოდ პირად ფრონტზე, არამედ, კარიერასა და ფინანსებშიც. მოკლედ, ასეთი მამაკაცი ექსტრავერტია, გამოირჩევა მიზანმიმართულებით და ფიზიკური ძალით, თუმცა სხვებზე ხშირადაც არღვევს კანონს და ციხეშიც ხვდება. გრძელი არათითის მქონე ქალები კი გაცილებით წარმატებულები არიან კარიერაში.

ურჩი ცოლი ციხეში ჩასვა

მექსიკაში მცხოვრები ქალი გისოსებს მიღმა იმის გამო აღმოჩნდა, რომ უარი უთხრა ტანსაცმლის გაუთოვებაზე ქმარს, რომელიც სასეირნოდ აპირებდა წასვლას. 21 წლის დულჩე გარსიას ქმარმა პოლიციაში უჩივლა. სამართალდამცავებმა გოგონა განყოფილებაში წაიყვანეს და მას სახლის საქმეების მიმართ დაუდევრობაში დასდეს ბრალი. ქალს ჯარიმაც დააკისრეს 31 დოლარის ოდენობით, მაგრამ „დამნაშავეს“ გადასახდელი თანხა არ აღმოაჩნდა. როგორც „ბრალდებულმა“ აღნიშნა, ქმარს პერანგი იმიტომ არ გაუუთოვა, რომ ეჭვი ჰქონდა, მეგობრებთან ერთად სასეირნოდ კი არ მიდიოდა, არამედ, საყვარელთან. სამართალდამცავების მხრიდან საეჭვო საქციელის გამო, ამ შემთხვევამ სოციალურ ქსელებში დიდი გამოხმაურება გამოიწვია. ბევრმა მათგანმა ქმრისა და პოლიციელების ქმედება არაადეკვატურად შეაფასა. „ჩემს ცოლსაც ხომ არ წაიყვანდით? ბევრს ჭამს და ფულს ჩემი საკრედიო ბარათიდან ხარჯავს“, – მსგავსი შინაარსის გამოხმაურებები მრავლად იყო სოცქსელში. შერიგდნენ თუ არა ცოლ-ქმარი ამ კონფლიქტის შემდეგ, უცნობია.

ქალს სიცოცხლეს ქმარი უხანგრძლივებს

გამოკვლევის შემდეგ, რომელიც ამერიკელმა სპეციალისტებმა ოჯახურ წყვილებს შორის ჩაატარეს, საინტერესო დასკვნები გააკეთეს. აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ ქალს სიცოცხლეს მისი ქმარი უხანგრძლივებს. ფსიქოლოგებმა გაარკვიეს, რომ თუ ქმარი ცოლს ბოდიშს მოუხდის მის მიმართ ჩადენილი ულამაზო საქციელისთვის, ეს დადებითად აისახება ცოლის ჯანმრთელობაზე. თუ ქმარმა ცოლს შეურაცხყოფა მიაყენა, მაგრამ მაშინვე აღიარა დანაშაული და მოიბოდიშა, ქალის საერთო განწყობა უმჯობესდება, ხოლო წნევა და გულის რიტმი დასტაბილურდება. ამგვარად, სპეციალისტების აზრით, მამაკაცის ასეთმა საქციელმა, შესააძლოა, ქალს სიცოცხლე გაუხანგრძლივოს.

საკუთარ თავთან ლაპარაკი სასარგებლოა?

დიდი ხნის განმავლობაში მიიჩნეოდა, რომ ადამიანის საკუთარ თავთან ლაპარაკის ჩვევა ან შიზოფრენიის, ან გარკვეული ფსიქიკური გადახრის ნიშანი იყო. თუმცა, ამერიკელი მეცნიერები ვისკონსინ-მედისონის უნივერსიტეტიდან აცხადებენ, რომ ეს მოსაზრება მცდარია. სწავლულებმა ექსპერიმენტი ჩაატარეს, რომლის შედეგებითაც დაამტკიცეს, რომ ასეთი ჩვევა არა მარტო უსაფრთხო, არამედ, ტვინისთვის სასარგებლოც კია. ამერიკელების ექსპერიმენტი შემდეგში მდგომარეობდა: მოხალისეები ორ ჯგუფად გაყვეს. ისინი შენობაში დამალულ ნივთებს ეძებდნენ. ერთი ჯგუფის წარმომადგენლები, ამ ძებნისას საკუთარი ქმედებების კომენტირებას ახდენდნენ, მეორე ჯგუფი კი ჩუმად მოქმედებდა. აღმოჩნდა, რომ „მოლაპარაკე“ მოხალისეებმა დაკისრებულ ამოცანას თავი „ჩუმებზე“ სწრაფად გაართვეს. სწავლულების ვარაუდთ, ასეთი შედეგი იმ ფაქტს უკავშირდება, რომ ლაპარაკი აჩქარებს აზროვნებას და ამგვარად, ხელს უწყობს ოპტიმალური გადაწყვეტილების უფრო სწრაფად პოვნას.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.